



ილორში



№ 2 (72) 18 თებერვალი 2009 წლის 18 თებერვალი სამეგრელოს ყოველკვირეული გაზეთი

რედაქციის სკაბი

რა უხარიათ?..

უხარიათ კი არა, ლამის ჭკუაზე გადავიდნენ. იცით რატომ? მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მალე დაამხოებს რუსეთს.

ვაი, ჩვენს პატრონს, უბედურს! სულ ახლახან რუსეთი ერთადერთ ენერგოპარტნიორად გავიხადეთ, როცა სხვა პესეტან ერთად "ენგურჰესის" მართვის სადავეებიც ჩავაბარეთ. სიხარულისაგან ადგილს ვერ ვამოულობდით – სახელმწიფოს დამატებითი შემოსავლები გაუნდებო. თქვე დალოცვილებო, რუსეთის იმედი თუ გასულდგმულებით, მისი დაქვევა და დანგრევა რატომ გიხარიათ?

ამაზე ნათქვამი: ვერ გაიგებ, სულელს რა სწყინს და რა უხარიათ.

ჩვენი ხელისუფლება ახლა დიდ დროს ანდომებს იმის განმარტებას, თუ "ენგურჰესის" რუსეთისათვის სამართავად გადაცემით როგორ გაიხარეს რუსებმა და როგორი წყენა დაეუფლათ აფხაზებს. თან ამას ისეთი პათოსით გვიხსნიან, თითქოს აფხაზები ჩვენი დაუძინებელი მტრები იყვნენ, რუსები კი ჩვენი ასევე დაუძინებელი მოკეთებები.

"ენგურჰესის" რუსებისათვის გადაცემა, აფხაზებთან მიმართებაში ხომ ისევე მძაფრ უარყოფით რეაქციას გამოიწვევს, როგორი რეაქციაც ოსების მხრიდან გამოიწვია შიდა ქართლის მაშინდელი გუბერნატორის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ერგნეთის ბაზრობის დახურვამ, სადაც ერთობლივმა ბიზნესმა იმდენად დაახლოვა ერთმანეთს ქართველები და ცხინვალელი ოსები, რომ წლების წინ პროვოკატორთა მიერ წამოწყებული კონფლიქტი საერთოდ აღარავის ახსოვდა და ქართველები რაჭის მიმართულებით თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ცხინვალის გაღლით.

ახლა კი ყველაფერს კოკითს ვაბრალდებთ, რომ, სწორედ მან წამოიწყო მთელი ოსებისა და ქართველების შორისო. ნამდვილად, კოკითმა დაიწყო ეს ომი, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ რუსებმა წააქეზეს საამისოდ, შემდეგ კი კოკითი განზე გასწვიეს და თავად შეუდგნენ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების დაპოვნებას.

სერგეი ბლავოსტინს ბევრ ისეთ უბედურებას ვაბრალდებთ, რომლის დიდი წილი სწორედ რუსეთის მმართველებზე მოდის. რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების არც თუ სახარბიელო როლს ამ საქმეში, ეს სახალხო დიპლომატიის სრული იგნორირებით დასტურდება.

მოდით და ამის შემდეგ ირწმუნე,

რომ ჩვენი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს მართლაც უნდა აფხაზების დაბრუნება.

2009 წლის 23 იანვარს მიხეილ სააკაშვილმა თავის ვრცელ ტელეინტერვიუში იმაზე საუბარსაც დაუთმო დიდი დრო, რომ საქართველოში შეზღუდული არ არის სიტყვის თავისუფლება. აქ აუცილებლად მიგვანია შეგახსენოთ ხელისუფლებას, რომ პრესის თავისუფლება ნიშნავს არა მხოლოდ მასმედიაში ქვეყნის საჯიბროტო საკითხებზე შექმნილი წერილების დაბრკოლების გარეშე გამოქვეყნებას, არამედ გამოქვეყნებულ მასალებზე ხელისუფლების ობიექტურად რეაგირებასაც. სხვაგვარად, პრესის თავისუფლება ემსახურება "ძლიერთა ამა ქვეყნისა" ცინიკურ გამოცხადებას: "წერე და იკითხე!"

თვალშისაცემია ისიც, რომ, ხელისუფლებისა და "ელიტარული" საზოგადოების ზოგი წარმომადგენელი "ხბოს აღტაცებას" ვერ მაღავეს იმის გამო, რომ მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა წელში გატეხა რუსეთი და იგი მალე ალბათ საერთოდ დაინგრევა.

ჯერ ერთი, რუსეთი ისე არ გადაშენდება მიწის პირიდან, რომ საქართველოს რამდენჯერმე დასათრგუნნი სამხედრო და პოლიტიკური ძალა არ დატოვოს. მეორეც, როცა ამერიკაში ტერორისტებმა სავაჭრო ცენტრის ტყუპი შენობები დაანგრეეს, ნანგრევებმა ქვეშ დაიტანეს მომეჩანევე შვიდი შენობაც, რომელთა დანგრევა აშკარად არ შედიოდა ოსთა ბინლადენის გეგმაში (ამის თაობაზე თავად გაგვიხილა ტელეფონით). ასე რომ, როცა შენს მეზობლად გრანდიოზული ნაგებობა ინგრევა, არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ შენც ამ ნანგრევებში მოჰყვები იმ არ იციან, ამას წინათ გაზეთმა "ნიუ იორკ ჰერალდ ტრიბუნა" რომ დასწერა – საქართველოს მიღება ნატოში არ შეიძლება. მას ისეთი გაუწონასწორებელი პრეზიდენტი ჰყავს, რომ გამორიცხული არ არის, რომელიმე უსახელმწიფოს ჩვენთან შეთანხმების გარეშე ომი გამოუცხადოს. ეს კი დიდ საფრთხეს შეუქმნის მსოფლიოს.

ამიტომ გვინდა უდროოდ და უადგილოდ გახარებულებს შევახსენოთ ერთი კუპლეტი ჩვენი სასიკადალო პოეტის მუხრან მაჭავარიანის ლექსიდან:

**ვინც გინდა იყავ
გინდ არქიფო და გინდა ზაქრო,
რა გიხარია, შე შობელბადლო!**

"მ ა ფ ა ლ უ"

ცნობილი ქართველი მეცნიერის პროფესორ გიორგი ციციშვილის წიგნში დოკუმენტებისა და კომენტარების საფუძველზე გაშუქებულია "მაფალუს" და მისი დამაარსებლების სტეფანე გაგუასა და მიხეილ კანკავას მიზანდასახულობათა შესახებ მართალი და მცდარი აზრი

"თუ თვით არ ვიღვაწეთ, ვერ ვპოვებთ კეთილსა შესაკრებელსა"
ილია ჭავჭავაძე

"მაფალუს" მეგრული ავტონომისტურ-სეპარატისტული ინიციატივა კი არა, აფამედ სამეგრელოს მონაპოვართ ქართული ეროვნული კულტურის გამდიდრების მცდელობა იყო.
გიორგი წერეთელი

"მაფალუს" მეგრულად ნიშნავს იმას, რაც განვითარება-გაფურქვნის შინაგან ძალას, პოტენციას შეიცავს. ზოგი მას კვირტის მნიშვნელობას ანიჭებს. მეგრული ტრანსკრიპციით გამოითქმის მაფალუსი, ამიტომ, ადრე ზოგჯერ ასეც იწერებოდა. ეს სახელი უწოდეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა სტეფანე გაგუამ და მიხეილ კანკავამ 1918-1919 წლებში ფოთსა და სენაკში თავიანთი ინიციატივით შექმნილ მეგრული კულტურული მემკვიდრეობის (უპირატესად ფოლკლორის) შეკრება-გამოვლენისა და გაშუქების მიზანდასახულობის მქონე საზოგადოებას, მაგრამ, როგორც ირკვევა, ისე მოხდა, რომ "მაფალუს" ჯერ კიდევ იმ დროს გამოუჩნდნენ დამფრთხალი გონების პატრიოტი კრიტიკანები. ესენი იყვნენ უპირატესად მტრულად განწყობილი სოციალისტ-ფედერალისტებისა და იმდროინდელი მმართველი, სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების), პარტიების წარმომადგენლები კოტე კობახიძე და შალვა ჩოჩია. ისინი ჩანასახშივე მეხად დაატყდნენ "მაფალუს" ჯგუფის შექმნის ინიციატორებს და მოუსპეს მოღვაწეობის გაშლის შესაძლებლობა. ამით მიადწიეს არა მარტო "მაფალუს" და მისი ინიციატორების დროებით გაბიბრებებს, არამედ იმასაც, რომ, რომ შეკვეცეს ზოგადეროვნული ქართული კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიური გამოვლენების ძვირფასი მეგრული განძით გამდიდრების შესაძლებლობას.

საქართველოს გასაბჭოებისა და ტოტალიტარული სახელმწიფოს ანტიეროვნული ავტონომისტური მშენებლობის დემაგოგიური აგიტაცია-პროპაგანდისა და პრაქტიკის განხორციელების დროს ხელისუფლების მეთაურებმა უყურადღებოდ მიაგდეს სამეგრელოს რეგიონის ქართველების მშრომელთა დიდი ნაწილისათვის დედაენის ფუნქციის მქონე მეგრული ენა და მთლიანად ამ ხალხისათვის მოკლე დროში ძნელად დასაუფლებელი და, უპირატესად, სრულიად გაუგებარი სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული ქართული ენით ექსპლუატაცია. მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური იდეოლოგიის დემაგოგიით გატარებული ნაციონალური პოლიტიკით და აღმშენებლობით პროვოცირებულმა სამეგრელოს ერთ-ერთი მდინარის, ჩხოუშის მიმდებარე ქალაქ ზუგდიდის მეგრულმა კომუნისტებმა მიზნად დაისახეს სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობის და სოციალისტურ სინამდვილესთან თავიანთი, ისტორიულად

წამოყალიბებული და შესისხლორცებული ენობრივი თავისებურებით, ანუ მეგრული ენით ზიარება. მათ შორის ზოგმა, რომელთა რიცხვი ორიოდ ათეულს უტოლდებოდა, გაუხამებული კომუნისტური მსოფლმხედველობისა და აგიტაცია-პროპაგანდის გავლენით საჭიროდ მიიჩნია სამეგრელოს აჭარის ან სხვათა მსგავსი ავტონომია, საქართველოს ხელისუფლებაზე დამდურებულმა ერთეულებმა კი მთლიანად, თუნდაც საქართველოსაგან გამოყოფითა და რუსეთთან მიერთების გზით შექმნილი, სამეგრელოს ავტონომიის წამოყალიბება. ზოგმა კომუნისტმა და უპარტიო მოაზროვნემ გაითვალისწინა მეგრელებისა და დანარჩენი ქართველების ეროვნული და კულტურული ერთგვაროვნება. ამის გამო მათ წამოაყენეს სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობისათვის დედაენის ფუნქციის მქონე მეგრული ენის იმდგვარი გამოყენება, რომელიც არ დაუპირისპირდებოდა საერთო ეროვნულ ინტერესებს, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში დააჩქარებდა უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ და საყოფაცხოვრებო მდგომარეობაში მყოფი მეგრული მშრომელების კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებას, შესაძლებელს გახდიდა მათი პატარა შვილებისა და შვილისშვილებისათვის ცოდნის გასაგები ენით შექმნას, გააიოლებდა მეგრელების ადამიანური უფლებების დაცვითა და მეგრული ენის გამოყენებით დანარჩენ საქართველოსთან დაახლოებას. ამ იდეის მთელი სამეგრელოს მასშტაბით უზრუნველყოფის მიზნით, ეს კომუნისტები და მათი თანამოაზრე უპარტიოები მოითხოვდნენ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში არა ავტონომიას, არამედ სამეგრელოს რეგიონალური კულტურულ-ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას.

მათ მიანდათ, რომ ასეთი არაავტონომიური ერთეული უკეთ უზრუნველყოფდა გარდამავალი პერიოდის ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ მეგრული გასაგები ენით ურთიერთობას სასოფლო, სათემო, რაიონულ და სამაზრო დაწესებულებებში, ადგილობრივი სასამართლოების მუშაობაში, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში და პირველდაწყებით სასკოლო განათლებაში. ისინი მეგრული ენის გამოყენებას მოითხოვდნენ აგრეთვე ახალი ცხოვრების მოთხოვნილებით საჭირო სასოფლო მეურნეობის ახალი დარგების ათვისების, სახელმწიფო პოლიტიკის გაგების, ქვეყნისა და საერთაშორისო ვითარების, პიროვნული ლაღებულებების, კონკრეტული დავალებების გაცნობიერების და, საერთოდ, პრაგმატული ადამიანური უფლებებისა თუ ინტერესების გაგებისათვის.

ზემოთ აღნიშნული ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ზუგდიდელი კომუნისტები და უპარტიოები ქართულის არმცოდნე გლეხებისათვის, გარდამავალი ღონისძიების სახით, მოითხოვდნენ საინფორმაციო საშუალებების – გლეხური ბეშდვითი პროდუქციის გამოცემას.

ვერ გაგვიგია — ვისი ქარტია ვის ტრაქტატშია?

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 9 იანვარს ხელმოწერილი ქარტია, მართალია, ბევრად მეტი მუხლისგან შედგება, ვიდრე გეორგიევსკის 1783 წლის 24 ივლისს ხელმოწერილი ტრაქტატი, მაგრამ, ერეკლე მეფის დროინდელი დიპლომატიისაგან განსხვავებით, გრიგოლ ვაშაძისა და კონდოლიზა რაისის ქარტია იმითაც იპყრობს ყურადღებას, რომ იგი ბევრად უფრო ბუნდოვანი, გაუგებარი და უშინაარსოა, ვიდრე იმპერატრიცა ეკატერინე მეორის, „პატარა კახის“, კასტრირებული ალა-მაჰმად-ხანისა თუ ნებისმიერი სხვა აღმოსავლელი და დასავლელი მბრძანებლის მიერ გამოცემული უსტარია...

როცა ალექსანდრე ჭავჭავაძის მამა — გარსევან ჭავჭავაძე ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში საოცნებო ტრაქტატს ხელს აწერდა, ერეკლე მეფემ კარგად უწყოდა, რომ ამ ხელშეკრულების ძალით, რუსეთი საგარეო საფრთხის შემთხვევაში საქართველოს დაცვის პირობას დებდა და ქართლ-კახეთის სამეფოს იმის სიტყვასაც აძლევდა, რომ საერთაშორისო ვითარების შესაბამისად, თუ ამის საშუალება იქნებოდა, იმპერია ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწებს საქართველოს დაუბრუნებდა.

ვაშაძისა და კონდოლიზა რაისის მიერ ხელმოწერილ ქარტიაში მსგავსი არაფერი წერია. ამერიკა ომიანობის შემთხვევაში არც საქართველოს დაცვას კისრულობს და არც იმას გვპირდება, რუსებს ჩემს

ჯარისკაცებს შევაკლავ და მოქიფე ქართველებს აფხაზეთსა და შიდა ქართლს შუა ძილში დაუბრუნებ, რათა გამოფხიზლებულებსა და ნაბახუსევზე მყოფთ თოფ-ზარბაზნის ხმის გაგონებაზე გული არ შეუფრთხილდეთო!.. ერთადერთი, რაც ამ ქარტიაში გარკვევით წერია, გახლავთ ის, რაც ჩვენს ყურებს აგერ უკვე თვრამეტი წელია ესმის, — „ჩვენ ძმები ვართ ტყუპები, ერთად დავიდუპებით“!

საქართველო დემოკრატიის ბოროტმა ზღაპარმა მართლაც

ტერფებს, მათ შორის, დემოკრატიისა და ეკონომიკური თავისუფლების განვითარებას, უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას!..

როგორც იტყვიან, — „სტოპ!“, საინტერესოა, რას ნიშნავს „უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა“ ან რომელი საქართველო იგულისხმა „ტერიტორიული მთლიანობის“ დაცვის ობიექტად — აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშე დარჩენილი ქვეყანა?! თუ ამერიკა თბილისი-ქუთაისის საავტომობილო ტრა-

ტიახელმოწერილ საქართველოს, როცა ფოთში რუსი ჯარისკაცების შიშით ამერიკულმა კრეის-ერმა ცხვირი ვერ შემოყო და ბათუმში ლუზანაშეგებულმა პუ-მანიტარული დახმარების სახით ისეთი პროდუქტი ჩამოგვიტანა, ქართველი კაცის პირმა და საღვებმა კბილებმა აშკარად მუტაცია უნდა განიცადოს მათ საჭმელად და მოსაწვლელად!..

უბედური ერეკლე მეფე ავად-სახსენებელი კრწანისის ომისთვის სათანადოდ ვერ მოემზადა, მიუხედავად იმისა, რომ

ქვეყანაში დემოკრატიას ვერ კიდევ მაშინ დაელო შავი ქვა გულზე, როცა 1992 წელს 26 მაისს რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილი ათეულთობით ათასი ობიექტელის თვალწინ ჯაბა იოსელიანმა საქართველოში სტუმრად ჩამოსული შევარდნაძის ყბადაღებული „მეგობარი“, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი — ჯეიმს ბეიკერი საპატიო მხედრონვლად გამოაცხადა და გულზე მხედრონვლის მუდელი ჩამოკიდა... არც იმას კითხულობს ვინმე, თუ რისთვის სტრატეგია საქართველოს სუპერთანამედროვე არმია? ალბათ, იმისათვის, რომ ქართულ-ამერიკული ქარტიით დაიმედებულმა და ტვირთსაგებებულმა კიდევ ერთხელ ვეომოთ რუსეთს, რუსეთმა კი თავიანთ ტანკებს თხებივით გამოიბას ქართული ტანკები და ამერიკული ჰამერები, რომელთა შექმნაც ქართველი ხალხის მილიონები ჩაიყარა...

სააკაშვილი რომ ყველაფერზე ხელისმომწერი კაცია, ეს ამბავი არა ერთხელ დამტკიცდა...

ვფიქრობთ, რუსული ტრაქტატებითა და ამერიკული ქარტიებით გაორებულ საქართველოს მაშინ, როცა ჰაიდი ტალიაინის კომისიის ნახევარი, ჩვენივე ხელისუფლების მტკიცებით, რუსეთის აგენტია, უჯღოს, პირდაპირი კავშირები მოსკოვის დასავლურ ფილიალებთან კი არა, უშუალოდ მოსკოვთან გააბას!.. ამით თარჯიმნების შტატებსაც შევამცირებთ, დროც ნაკლები დაგვეხარჯება და საქმეც წინ წაიწევა!..

ჩვენი რეცეპტი ასეთია, დანარჩენი კი ქართველი კაცის მოხერხებისა და უფლის ნებაზე კიდაია!..

მალხაზ სოფრომაძე

არის ასეთი ქარტია!..

დაღუპა და იგი რუსულ ხიშტზე ზუსტად ისე წამოვიდა, როგორც ორაგული გამოცდილ მეთევზის სამკაპზე, მაგრამ ჩვენს ამერიკელ ძმებს არაფერი ეტყობათ საიმისო, რომ ჩვენი გულისთვის რუსეთის სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეამტკიცებინა აპირებდნენ და მესამე მსოფლიო ომის გასაჩადებლად ემზადებოდნენ...

გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები თუ როგორ სინდისიერად შეასრულა რუსეთმა და დაცვა თუ არა პეტერბურგის საიმპერატორო კარმა საქართველოს უსაფრთხოება მაშინ, როცა ალა-მაჰმად-ხანი 35-ათასიანი ურდოთი თბილისს მოადგა, ეს ამბავი ყველამ ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ ამერიკული ქარტიის მეხობებე საქართველოს საქმე სატრადაციო აქვს და სასაცილოდაც... მაგალითად, ქართულ-ამერიკული ქარტიის მეორე მუხლში სიტყვა-სიტყვით წერია: — „ჩვენს დემოკრატებს შორის თანამშრომლობა ეფუძნება საერთო ღირებულებებს და საერთო ინ-

სის დაცვას აპირებს და ამას უწოდებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას?! ან კი ვინ დაგვიცავს და რა გადაგვარჩენს, ერთ მშვენიერ დღეს რუსეთის გენერალიტეტმა საქართველოს სრული ოკუპაცია რომ მოიწადინოს?! ამერიკელები შემოვლენ და რუსეთს ჩვენ გამო ომს გამოუცხადებენ?! გასაგებია, რომ ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობა დიდი ხანია, შეთავსებით უძველეს პროფესიას — პროსტიტუციას ეუფლებოდა და, ამდენად, ეს ხალხი პოლიტიკა-ვები ან ცირკთან მოყურეუტე ოცდაათლარიანი კახუები უფრო არიან, ვიდრე ცალკე ადგილი პოლიტიკოსები, მაგრამ ნუთუ ქართველი ერი ისე დაჩაღუნდა, რომ იგი მტკნარ სიცრუეს, ღამაზ ზღაპარსა და ხასტიკ რეალობას ერთმანეთისაგან ვეღარ არჩევს?! ბრძენი ერთგან კითხულობს, — „ნუთუ შენ გჯერად ცრუზღაპარს, რომ უცხოელი გამოიხსნის შენს სამშობლოს?!“ რომელი ტერიტორიული მთლიანობის ადგენის იმედი უნდა ჰქონდეს ამერიკასთან ქარ-

აღ-მაჰმად-ხანის თბილისზე გამოლაშქრების შესახებ ხმები ორი წელი ვრცელდებოდა...

რუსეთმა მაშინ თითი არ გაანძრია საქართველოს გადასარჩენად, ხოლო ახლა ამერიკელებთან ერთად ქარტიების ხშირ-ხშირად ხელმოწერა ახალ გარდაცვალებას და სამარეს უქადის ქვეყანას!.. ამ ძველი და საღვების უბედურების ქარ-ცეცხლში სულ უფრო და უფრო ხშირად გაიხმის ერთი რიტორიკული კითხვა: — ვისი ქარტია ვის ტრაქტატშია და, საერთოდ, თუ გეორგიევსკის ტრაქტატში ჩამოაწერულ რუსული ფიცისა და დაპირებების გულარხეინად მინდობას შედეგად ნაციონალური კატასტროფა — კრწანისის ტრაგედია მოჰყვა, რას გვიქადის ქართულ-ამერიკული ქარტია, რომელშიც არავინ არაფერს გვპირდება, გარდა იმისა, რომ საქართველოში დემოკრატია უნდა გაძლიერდეს და საქართველოს შეიარაღებული ძალები უკეთ გაიწვრთნას? იმას არავინ კითხულობს, რომ ჩვენს უბედურ

ამერიკა-საქართველოს ქარტიაზე ხელმოწერა განსაკუთრებით ყავს განსაკუთრებული პრეზიდენტის ყალბი, თვალთმაქცური და პროპაგანდისტული ფანდი!

ამას წინათ ქართულ საზოგადოებას წერილი გამოუგზავნა ამერიკაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, ცნობილმა მსახიობმა ბატონმა ნუგზარ შარია, რომელსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს

ბერიფასო თანამემამულენო! მიუხედავად ჩვენს ქვეყანაში არსებული უშიშროების პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობისა, გულწრფელად მოგილოცავთ ყველა დღესასწაულს და როგორც ჩვენი სათაყვანო შოთა რუსთაველი გემომღერავდა — ჭირსა შიგან გამაგრებას გისურვებთ!

ნება მხოლოდ, მოკლე განცხადება გაგაკეთო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თავს პასუხისმგებლად ვთვლი სამშობლოს წინაშე, თუნდაც ამისათვის საკუთარი სიცოცხლის გაწირვაც გახდეს საჭირო.

მთელი პასუხისმგებლობის პაცხაღმა, რომ ამერიკა-საქართველოს ქარტიაზე ხელმოწერა, რომლის ცერემონიული საქართველოში პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცა, გახლავთ ყველაზე უფრო პრეზიდენტის ყალბი, თვალთმაქცური და პროპაგანდისტული ფანდი. დიას, ამ დოკუმენტს არავითარი ძალა არ გააჩნია, ვინაიდან, ზუსტად ათი დღის შემდეგ, 20 იანვარს თეთრ სახლში შევიდა ახალი პრეზიდენტი, რომელმაც განაცხადა, რომ ბუშის ადმინისტრაციამ განვიღო 8 წელიწადში ნულამდე დაიყვანა აშშ-ს საგარეო პოლიტიკა, განადგურა ეკონომიკა, გაუმართლებელ ომში ათასობით ადამიანი ჩახოცა...

ამიტომ ისეთ სერიოზულ და ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხში, როგორცაა საქართველოსათვის დახმარების გაწევა, თვალთმაქცობა არ ეგების!

ამ საკითხზე შექმნილი დოკუმენტი უნდა იყოს სახელმწიფოებრივ დონეზე და არა ათ დღეში მიმავალი პრეზიდენტის ღამაზი ვესტი, მისი მოღვაწეობის ბოლო აკორდი, რომელიც არავის არაფრით ავაღიბებულებს...

მეტად სავალალო, მე ვიტყვი — სამარცხვინო ფინალი ჰქონდა პრეზიდენტ ბუშის ვოიაჟს ერაყში, სადაც მას პრესკონფერენციაზე ფეხსაცმელის ტყორცნით „გაუმასხინდლდნენ“...

ასეთი რამ არათუ მსოფლიოს ძველ-მოსილი ქვეყნის პრეზიდენტისთვის, არამედ ნებისმიერი კვაზისახელმწიფოს რიგითი დიპლომატიისთვის არ უკადრებიათ.

რა თქმა უნდა, ჟურნალისტის ქმედებას როდი ვამართლებ, მაგრამ ამავე დროს, კარგად მესმის მისი. ეს იყო პროტესტის უკიდურესი ფორმა პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის მიმართ, რომელმაც მის ქვეყანას, მის ხალხს ამდენი უბედურება მოუტანა.

ასე რომ, ვგზობ სამარცხვინო, სახელგატეხილი პრეზიდენტის სამადლობელი რა უნდა ჰქონდეს საქართველოს?

ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს ბუშის უნდა გააღაწვიოს მართლმად ხალხმა და არა პაპინდობა ან მოსკოვმა.

საქართველოს ბუშის უნდა გადაწყდეს თბილისში, ქუთაისში, ცხინვალში, სოხუმში და გნებავთ ყარსში, იმიტომ, რომ ყარსიც საქართველოა, როგორც ბათუმი, თუმცა, 1919 წელს ლენინმა და ათათურქმა წარსტაცეს საქართველოს! მათ მომენტი იპოვეს და ურცხვად გაძარცვეს ჩვენი ქვეყანა, ღამის ნახევარი საქართველოს მიწები მიიტაცეს...

ბევრმა ალბათ, არც კი იცის, საიდან მოდის სახელწოდება ყარსი. იმ უბედურე-

ბის ჟამს, იმდენი ხალხი ჩაიხოცა, რომ იქაურობა ყარდა...

როდესაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, საქართველო ძლიერ ნანგრევებში მოჰყვა. მას შემდეგ ქვეყანამ რამდენი უბედურებას გაუძლო და დღეს კიდევ ყალბი პროპაგანდა გვკვირდება? მაშინ, როდესაც მისი მშობლიური მიწა, მისი აფხაზეთი, მისი სამაჩაბლო ჩახერგილია და იქ საოკუპაციო ჯარი დგას, განა კიდევ შეიძლება ყალბი, ცრუ პროპაგანდით ხალხის გაბრუნება?

მაგანთა მცდელობით, ვრცელდება აზრი, თითქოს, ვინც ამერიკას არ უჭერს მხარს — ის რუსეთის ლაქიაა. ესეც აშკარა თვალთმაქცობაა! საქართველო თავისი უძველესი კულტურით, განათლებით, ინტელექტით, შემართებით, გნებავთ — სულიერებით, რუსეთზეც მაღლა დგას, ამერიკაზეც და ევროპის იმ ქვეყნებზეც, რომელთა მონაწილეობას ჩვენი პრობლემების მოგვარებაში ისე ველოდებით, როგორც ციურ მანანას...

რუსეთმა კარგად იცის, რასაც აკეთებს. მან მშვენიერად უწყის, რომ მესამე მსოფლიო ომი არც საქართველოს გამო დაიწყება და არც უკრაინის გამო, რომელიც უზარმაზარი, ორმოცდახუთმილიონიანი ქვეყანაა. ყველა მხოლოდ თავისი ქვეყნის პრობლემებზე ფიქრობს — თავის გახზე და ნავთობზე, ფინანსებზე, თავისი ქვეყნის უსაფრთხოებაზე. მათ არც საქართველო ანადგულებთ, არც უკრაინა და მათ გამო თავს არ აიტკივებენ.

დროა, ყველამ შევიგნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ბედნიერ ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს.

ასე რომ, ნიკოლოზის ყლაპვითა და ხბოს ალტაცებით არ უნდა შიშვძაროვდეთ კონფლიქტის რაისის ხელმოწერას შარბატინა მართიანა, რომელსაც ძალიან მაღალი ნულოვანი დატვირთვა

მქნება ამერიკის საბარძო პოლიტიკაში. დროა, დასრულდეს ყალბი პროპაგანდა და ხალხისათვის თვალში ნაცრის შეყრა, მითუმეტეს, მაშინ, როდესაც, მაგანთა მცდელობით, ქვეყანა განადგურების პირასაა მისული!

აშშ-თან გაფორმებული ქარტიით საქართველოს უსაფრთხოების თვალსაზრისით არავითარი გარანტიები არ ექნება, ბატონებო! ეს სიცრუე და მხოლოდ პროპაგანდისტული განცხადებაა!

ნუგზარ შარია, სარასოტა, აშშ



გაყინული კონფლიქტი მთიან ყარაბაღში გასვლა?!

ცხინვალისა და აფხაზეთის შემდეგ საბრძოლო მოქმედებები შეიძლება მთიან ყარაბაღშიც განახლდეს, რაზეც მეტყველებს სომხეთისათვის მოსკოვის მიერ 800 მილიონი დოლარის ღირებულების შეიარაღების გადაცემა...

რუსეთი შეიძლება არ დასჯერდეს ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ოკუპაციას და ყარაბაღის გაყინული კონფლიქტის გაღვნივად სცადოს.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის კვალდაკვალ, როდესაც ევროპა რუსული გაზის გარეშე იყენება, ხოლო ობამას ადმინისტრაცია ეს-ესაა მოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სათავეში, კრემლს საუცხოო შანსი ეძლევა, კავკასიაში თავისი გავლენის სფეროების უფრო გასაძლიერებლად.

გვინდა თუ არა, სამწუხაროდ, სიმართლეს თვალში უნდა

შევხედოთ – ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ოკუპაციით რუსეთმა საქართველოზე მრავალწლიანი ზემოქმედების ბერკეტები ჩაიკაფო ხელში, რასაც ემატება აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს შემაერთებელი საავტომობილო და სარკინიგზო ხაზის გადაჭრის მუდმივი საშიშროება.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში საქართველოს გარდა აზერბაიჯანისა, მაგრამ მასზე ზემოქმედების ეფექტიანი ბერკეტები კრემლს ჯერჯერობით არ აქვს.

აზერბაიჯანში არც რუსი ცისფერწაფხუტნიანები არიან და არც რუსეთის მოქალაქეები, რომელთა დაცვის საბაბით რუსეთის არმიამ შეიძლება ბაქოს შეუტოს.

არადა ოფიციალურ ბაქოზე მუდმივი ზემოქმედების ბერკეტი კრემლს აუცილებლად სჭირდება, რადგან უკრაინა-რუსებს შორის დაწყებული “გაზის ომის” შემდეგ

ევროპა სერიოზულად დაფიქრდა ალტერნატიული ენერჯორესურსების მომარაგების გზაზე.

ასეთი ალტერნატიული გზა, რომელიც რუსეთს გვერდს უვლის, შუა აზიიდან აზერბაიჯანსა და საქართველოზე გადის და შავი ზღვით აღმოსავლეთ ევროპას უკავშირდება.

რუსეთმა ბაქოს შესთავაზა, გამხდარიყო აზერბაიჯანული გაზის მონოპოლისტი შემსყიდველი და ათას კუბურ მეტრში 400 დოლარს სთავაზობდა. წესით, ეს აზერბაიჯანისათვის ფინანსურად მომგებიანი უნდა ყოფილიყო, რადგან იმავე რაოდენობის გაზს იგი თურქეთს 200, ხოლო საქართველოს 170 დოლარად აძლევს, მაგრამ პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ამ ფინანსურად მომგებიან, მაგრამ სტრატეგიულად წამგებიან გარიგებაზე არ დათანხმდა.

მოსკოვმა საბოლოოდ რომ

დაასამაროს ევროპის იმედი, აზერბაიჯანული გაზის ალტერნატიულ გზაზე, შესაძლოა, ხელახლა ააფეთქოს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, ანუ რასაც ვერ მიადგია ეკონომიკური გარიგებით, თოფით გააკეთოს. მთიან ყარაბაღსა და მის სიახლოვეს მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები კი ძალზე საეჭვოს გახდის იმ საერთაშორისო პროექტების განხორციელების პერსპექტივას, რომელიც შუა აზიისა და აზერბაიჯანული ნავთის რუსეთის გვერდის ავლით ევროპისაკენ მიწოდებას ითვალისწინებს.

ექსპერტთა აზრით, იქნებ სწორედ ამას ემსახურება 800 მილიონი დოლარის ღირებულების საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების რუსეთის გაუმართის 102-ე სამხედრო ბაზიდან სომხეთის შეიარაღებული ძალებისათვის გადაცემა.

ქრონიკები

პატიმარმა ხელფები დაიჭედა

მე-5 ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებასი პატიმარმა ციციო საბაშვილმა ხელფები დაიჭედა. ამის თაობაზე “ინტერპრესნიუსს” არასამთავრობო ორგანიზაცია “ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის” ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ განუცხადა.

როგორც სამინისტროს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა სლომე მახარაძემ განმარტა, პატიმარმა ქალმა სხეული დაიზიანა. მისი მოთხოვნაა საქმის ხელახალი გადახედვა.

ამ ეტაპზე, საპრობოლის ადმინისტრაცია ცდილობს პატიმარს აქცია შეაწყვეტინოს. ციციო საბაშვილი სასჯელს მკვლელობისათვის იხდის. მას 17 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი.

მედვედევი საქართველოზე საერთაშორისო მეთვალყურეობის დაწესებას ითხოვს

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი სამხედრო-ტექნიკურ სფეროში საქართველოს უცხო ქვეყნებთან თანამშრომლობაზე განსაკუთრებული მეთვალყურეობის დაწესებას მოითხოვს. ამის შესახებ სააგენტო “ინტერფაქსი” იუწყება.

“არასტაბილურ სახელმწიფოებთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობები სპეციალური წესებით რეგულირდება. კერძოდ, პრეზიდენტის ბრძანებით, იარაღის და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის მიწოდების აკრძალვის გზით”, – განაცხადა მედვედევმა სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლების კომისიის სხდომაზე. მისი თქმით, ასეთი ტიპის სახელმწიფოებს და მათთვის იარაღის მიწოდების საკითხებს დიდი ყურადღება სჭირდება.

“ამ შემთხვევაში მე გვუფლისძმოდ საქართველოს და ამ თემაზე ჩემს მიერ ხელმოწერილ განკარგულებას”, – აღნიშნა მან სხდომაზე.

განკარგულებას “საქართველოსთვის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის მიწოდების აკრძალვის შესახებ” მედვედევმა ხელი მიმდინარე წლის 19 იანვარს მოაწერა.



(გაგრძელება მე-9 გვერდზე)

სამეგრელო ყირიშის ომის დროისა

კორნელი ბოროზდინი

ცარიზმის რუსეთის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მოხელის კორნელი ბოროზდინის წიგნი “სამეგრელო და სვანეთი” ქართულ ენაზე 1934 წელს გამოიცა და დღეს იგი უნიკალური იშვიათობას წარმოადგენს. ავტორი საინტერესოდ გადმოგვცემს XIX საუკუნის 50-60 წლების ცხოვრებას სამეგრელოსა და სვანეთში. საგულისხმოა, რომ კორნელი ბოროზდინი 1854 წლიდან იმყოფებოდა სამეგრელოში. 1858-1867 წლებში კი იყო სენაკის ოლქის უფროსი. იგი წიგნში აღწერილი მოვლენების უმუშალო მოწმე და მონაწილეა. გაზეთი “ილორი” იწყებს წერილების ციკლის ბეჭდვას კორნელი ბოროზდინის წიგნიდან “სამეგრელო და სვანეთი”, რომელიც რუსულიდან თარგმნილია თედო სახოკიას მიერ.

ფართოვდება. სოხუმის ნავთსადგურიდან მოყოლებული აჭარის ქედამდე მთები ნახევარკალის მსგავსად უკან იწევენ, ხოლო მთის წინ იშლება ვაკე-რომელსაც სიგრძე ასორმოცდაათამდე ვერსი ექნება, ხოლო განი ალაგ-ალაგ ას ვერსზე მეტი. ამ ვაკესა რწყავს ოთხი დიდი მდინარე, რომელნიც შავ ზღვას ერთიან: კოდორი, ენგური, ხობისწყალი და რიონი. ამ ოთხ დიდ მდინარეს ბევრი სხვა პატარა მდინარე ერთვის, ამათს შორის ყველაზე დიდია ტეხური და ცხენისწყალი. ეს ვაკე მეტად ნაყოფიერია, და ბევრგვარი მცენარეცა ხარობს აქ. ბევრს მის ქედებს მწვანედ ხასხასი ვაკეებს ზამთარ-ზაფხულ მწვანე წყავის ტყისაგან; აქ ხარობს თუთა, კაკალი, ხურმა, რომელზეც უშველებელი ვაზია გასული, უხარმაზარი მუხა, წაბლი, კოპიტი, ძელქვა, და მათ შორის მედიდურად აზიდულია ჭადარი. ზღვის პირას მდებარე ადგილებში საშინელი ციებ-ცხელება იცის. აქაურ ციებ-ცხელების შესახებ ჯერ კიდევ პიპოკრატე წერდა. ამ ვაკეზე, ჩრდილოეთიდან მოყოლებული, მდებარეობს აფხაზეთი, სამურზაყანო, სამეგრელო, იმერეთი და გურია.

ჯერ ისევ წარსული საუკუნის ნახევარში ეს მხარე იოსმაღლეთს ეკუთვნოდა; მაგრამ 1638 და 1658 წლებში სამეგრელოს და იმერეთის მთავრებმა მოინდომეს ოსმალეთის ბატონობისათვის თავი დაეღწიათ და რუსეთს მიმართეს. – გაგვათავისუფლეთ და აწინი ქვეშემდგომი გავხდებითო. მთელი საუკუნეების განმავლობაში მარტო დენი მოლაპარაკება იყო გამართული, უგზავნიდნენ ერთმანეთს ძღვენს, მოკითხვას უთვლიდნენ, და პირველად მხოლოდ 1770 წელს გამოგზავნა რუსეთმა ჯარი, გრაფ ტოტლებენის მეთაურობით, იმერეთსა და გურიაში ოსმალთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში მისაშველებლად. აფხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი და გურია ოსმაღლეთს ხარკად აძლევდა გოგო-ბიჭებს და ამით გამოიხატებოდა პოლიტიკური დამოკიდებულება ამ მხარეთა

და ოსმაღლეთს შორის. ხოლო 1774 წელს, მკათათვის 10, შემდგარ ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატის 23-ე მუხლის ძალით ჩამოთვლილი მხარეები დასახელებული ხარკის ძღვევისაგან განთავისუფლებულ იქნენ. ამ წამიდან მოყოლებული თითოეულ ამ მხარეთაგანს დამოუკიდებლობა მიენიჭა როგორც ოსმაღლეთისა, ისე რუსეთის მხრივ.

იმერეთს თავისი მეფე ჰყვანდა; გურიას, სამეგრელოს და აფხაზეთს – თავისი საკუთარი მთავრები.

ეს მხარეები, მართალია, ოსმაღლეთის ბატონობისაგან განთავისუფლდნენ, მაგრამ იმის წყალობით, რომ შინაურობაში ერთთავად შფოთი და არეულობა იყო, დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრებით დიდხანს ვერ იცხოვრებდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მეზობლად, ტფილისში, აღმართული იქნა რუსეთის დროშა და რუსეთმა ერთი მეორეზე დაიპყრო მუსლემინთა პროვინციები, მთავართაგან პირველი გრიგოლ დადიანი გახდა რუსეთის ქვეშემდგომი (კ. ბოროზდინის განმარტებით “დადიანი” არც სახელია და არც გვარი, არამედ ტიტულია სამეგრელოს მთავრისა. სამეგრელოში რამდენიმე დინასტია იყო მთავრებისა. მე-XVII საუკუნეში მთავრობდა ბედიას დინასტია, იმის შემდეგ გოშუა გახდა მთავრად, გოშუას მერე დიპარტიანი გამთავრდა, მერე ჭილაძე და, ბოლოს, ჩიქოვანი. წარსულს საუკუნეში ჩიქოვანთა გვარის პირველი მთავარი კაცია ჩიქოვანი იყო დადიანად. ყველა ამ გვარებს, როცა მთავრებად იყვნენ დადიანის ტიტული ჰქონდათ – კ. ბოროზდინი). ამის მიზეზი შეიქმნა ლენხუმი. ამ კუთხის დაპყრობისათვის გრიგოლ დადიანსა და იმერეთის მეფეს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა. გრიგოლ დადიანმა სთქვა, იმერეთის მეფეს მარტო მეცრას დავაკლებო და თავად ცი-ციშვილს შეუთვალა: რუსის ხელმწიფესთან მიშუამდგომლე, თავის მფარველობის ქვეშ მიმიღოსო. 1803 წელს, დეკემბრის პირველში, პოლკოვნიკმა მაინოვმა გრიგოლ დადიანს ფიცი მიადებინა თავისის სამთავროთი

ილორი

სარკაზმით ნათქვამი ნუ დასიინი სხვასო...

აღბათ გახსოვთ, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე ეკონომიკური განვითარების აღრიხველმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემ "დებილად" რომ მოიხსენია ენერჯეტიკის მაშინდელი მინისტრი ნიკა გილაური. მაშინ გილაურმა მართლაც სულელური დიმილის მეტი ვერაფერი შეაგება თავისი "ზემბლავრ" და მიიმეწონოსან კოლეგას, მაგრამ, დრო დადგა და ახლა უკვე ნიკა გილაურმა გადაინაცვლა "მიმეწონოსანთა" კატეგორიაში - იგი საქართველოს პრემიერ-მინისტრი გახდა. პირველი, რაც მან პრემიერის კაბინეტში შესვლამდე გააკეთა, იყო ის, რომ მისი "ნათლია" ბენდუქიძე მთავრობის კანცელარიის უფროსის თანამდებობიდან გაანთავისუფლა. სიტყვა "გადააყენას" ამ შემთხვევაში ვერ მოვიშველიებთ, რადგან კახა ბენდუქიძის "გადაყენებას", მისი დინოზავრული კომპლექციის გამო, ნიკა გილაური კი არა, მთელი საქართველოს მთავრობა და პარლამენტი ერთად ვერ შესძლებენ. შესაბამის ბრძანებას გილაურმა კარგი სარკაზმიც მიაცვალა: "თუ უნდა, კონსულტანტად ავიყვანო..."

ეს იყო და ეს. ბენდუქიძემ აღბათ ჩვეული მანერით გაიმეორა: "Пошел на х...", თავისი ნივთები ჩაალაგა და კაბინეტი დატოვა.

ახალმა პრემიერმა ნიკა გილაურმა მისი შეურაცხმყოფელი კოლეგა მოიშორა თუ არა, ციფერების ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ თვალში აგვიტყვავდა, როგორც ჩანს, მისი მეორე ნათლის მისხელი სააკაშვილის მიერ "საქართველოს სინათლედ" წოდებული ნიკა გილაურის მრიცხველი წინსწრებით გადაიტვირთა და საკმაოდ მიიმედაც. სხვას რას უნდა მიაწერო ახლად გაპრემიერმინისტრებული კაცის განცხადება იმის თაობაზე, რომ თურმე, ახლა მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია და ამიტომ, საქართველოში უმუშევრობამ 14-პროცენტთან ნიშნულს მიაღწიაო. კაი, ბატონო, ჯანდაბას სტატისტიკა და ციფრებთან მოჭიდვე ხალხი, მაგრამ, ამხელა თანამდებობის პირი ვიდრე სისულელს დარწმუნებ, წამით ხომ უნდა დაფიქრდეს მაინც იმაზე, თუ რას ამბობ და ვის ეუბნები.

შე დალოცვილო, თუ ბატყუებ, ისე მაინც მომატყუე, მეც კახა ბენდუქიძესავით "დებილი და უსინდისო" არ გიძახო!

ბატონი ნიკა გილაურის ნათქვამს თუ ვერწმუნებთ, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში, მუშა ასაკის და მუშაობის მსურველთა 86 პროცენტი დასაქმებული ყოფილა (მაგ სიმართლით იარონ სააკაშვილმა და გილაურმა!). თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ საჯაროდ ვიხდი ბოდიშს მათ წინაშე.

მაგრამ, ისიც გაეხსენოთ, რომ ორიოდ კვირის წინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ასევე რიხიანად განაცხადა: "...ჩვენი გამოწვევაა სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმება. ცოტა ხანში იმხელა დაფინანსება შემოგვივა, დასაქმებულთა რაოდენობა გაორმაგდება..."

კეთილი და პატიოსანი!
თუ ელემენტარულ მათემატიკას მოვიშველიებთ, მაშინ, ნიკა გილაურის მტკიცებით სამუშაო ადგილების რიცხობრივი მანუვრები მინიმუმ 172 პროცენტი გახდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მუშაობის მსურველ საქართველოს მოქალაქეების დასაქმების შემდეგ სამუშაო ადგილების 72 პროცენტი კიდევ ასათვისებელი დავგრძელებ. ეს კი დაახლოებით ორი მილიონი კაცის დასაქმებას ნიშნავს.

ღამისაა სიხარულით გადავირიო!
ესე იგი, რაც საქართველოდან მის ფარგლებს გარეთ ლუკმა-პურის საშოვნელად გახიზნულ მოქალაქეებს არიან, უკანვე რომ დაბრუნდნენ და სამუშაო ადგილები დაიკაონ, ნახევარი მილიონი ადგილი მაინც ვაკანტური დარჩება.

უკვე ეჭვი მეპარება, რომ კახა ბენდუქიძემ სრულიად უმიზეზოდ მონათლა "დებილად" ნიკა გილაური!

უფრო სწორად, გილაურს აღბათ ჩვენ ვკონივართ დებილები. მაშინ, ჩვენც ერთ "დებილურ" რჩევას მივცემთ: საქართველოში დარჩენილი ვაკანსიების შესავსებად უცხო ქვეყნების მოქალაქეთა მოწვევა გახდება საჭირო. ნუ მოვიწვევთ პალესტინელებს, ინდონეზიელებს ან ჩინელებს, მოვიწვიოთ ჩვენზე ესოდენ გადამკვდარი ამერიკელები. მით უმეტეს, რომ აშშ-ს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით უკვე 4,8 მილიონი ამერიკელი არის დარჩენილი სამუშაოს გარეშე.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ხომ უნდა აღმოუჩინოთ რაიმე სახის დახმარება ამერიკელებს. მით უმეტეს, როცა მათი პრეზიდენტი ბარაკ ობამა დაუფარავად აცხადებს, რომ კრიზისული სიტუაცია კიდევ უფრო მწვავედება და მის საბოლოოდ გამოსწორებას თვეები კი არა, წლები სჭირდებაო.

როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გილაური ეკონომიკურ კრიზისს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში მოუღებენ ბოლოს.

ვაი, ჩვენს პატრონს, უბედურს!
თუშცა, ჩვენ რა მუშაში ვართ, თუ კახა ბენდუქიძე მართლია. ბოლოს და ბოლოს, მან ჩვენ კი არა, ნიკა გილაურს უწოდა "დებილი".

ჩვენი საწუხარი მხოლოდ ისაა, რომ ეს თიკუნი ბენდუქიძემ საქართველოს მომავალ პრემიერ-მინისტრს უბოძა ბრძნული წინასწარმეტყველებით!

სააკაშვილის "საუკუნის აფერა"

სოლო ერთი პარტიისათვის

"ნაციონალისტი" პარლამენტარები და მინისტრები შთაგონებული სახეებით უსმენდნენ თავიუანთ ლიდერს, რომელსაც, თურმე აქვს იმის დიდი შანსი, რომ საქართველო მოახვედროს იმ ათქვეყანას შორის, ყველაზე ნაკლებად რომ ზარალდებიან გლობალური კრიზისით, რომ, თურმე, კიევში ავტომანქანების შესამედლა დადის ქუჩაში და ევროპის ეს ერთადერთი უდიდესი ქალაქი თითქმის ჩაბნელებულია, რომ, თურმე, თბილისი და ბათუმი ევროპის ყველაზე განათებული ქალაქებია, რომ, თურმე, ჩვენს საბანკო სფეროში სტაბილურობაა - მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ თავადვე დაიხივლა: საბანკო სფეროს ათასობით კვალიფიციური სპეციალისტი დაითხოვეს სამსახურიდან და სესხების გაცემა პრაქტიკულად შეჩერებულია, რომ თურმე, ჩვენთან ტენდერები სამართლიანად და გამჭვირვალედ ტარდება, რადგან, შევარდნაძის ეპოქისაგან განსხვავებით, მათ შესახებ გასაიდუმლოებულია გამოცემული გაზეთი კი არა, სატელევიზიო რეკლამა გვამცნობსო. მან ის აღარ თქვა, რომ ტენდერების შესახებ, მართალია, ყველამ იცის, მაგრამ

მათში, "რატომღაც კვლავაც ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნეს-ჯგუფები იმარჯვებენ".

სააკაშვილმა "დიდსულოვნად" გადასცა წეროვანის რეზიდენცია საბავშვო ბაღს და თან ისეთი საუკუნის აფერა მიაცოლა, რომ ყველა "ნაციონალიც" კი პირდაპინილი დატოვა. მისი მტკიცებით საქართველო ერთადერთი ქვეყანა იქნება მსოფლიოში, სადაც გაჭირვებული მოქალაქეები წელიწადში 20 ლარს გადაიხდიან და ამის სანაცვლოდ 8.000-ლარიან სამედიცინო მომსახურებას მიიღებენ.

სააკაშვილმა ოდნოდ გაზაფხულზე მოსალოდნელი საპროტესტო გამოსვლები აიცილოს და მზად არის, გაუგონარი ტყუილებით გააბრუოს თანამემამულეები. ამიტომ დააყენა მან პარლამენტის ტრიბუნლიდან ტყუილების კორიანტელი და ქართველი ხალხი გაამხნევა: ნუ დაკარგავთ იმედს, ჩვენ შევძლებთ საქართველოს გაერთიანებას, ეკონომიკური სიძნელების გადალახვას და ხალხის დასაქმებას, და, უკეთესი მომავლის უზრუნველყოფასო.

ერთის სიტყვით, ეს იყო სააკაშვილის სოლო ერთი (ნაციონალური) პარტიისათვის

საბანკო ოქანის გაღვივან

ამბობენ, თარსიაო და აბა დააკვირდით!

ვისაც კარგი მხედველობა აქვს, ხომ კარგი, ვისაც - არა, აიღოს გამადიდებელი მუშა და, ისე დააკვირდეს.

ადრე რამდენჯერმე უთქვამთ - ერთდოლარიანზე უამრავი მასონური ნიშანიაო. მოდით, ჩვენც შევამოწმოთ.

მაშ ასე, დავიწყოთ: ერთდოლარიანის პირველ გვერდზე ჯორჯ ვაშინგტონის სურათია გამოხატული.

პირველი 13-იანი - ვაშინგტონის სურათის მარჯვნივ მრგვალი მწვანე "ბუჭედია", თემიდას სასწორით, მის ქვემოთ მწვანე გასაღები, მათ შორის, მწვანე ფონზე რიცხვი 13 - თეთრი ვარსკვლავით. ახლა მეორე გვერდზე გადავიდეთ.

მეორე 13-იანი ერთდოლარიანის მარცხენა მხარეს წრეში ჩასმული წააკეთილი პირამიდაა, რომელიც 13 საფეხურისაგან შედგება. მის თავზე სამკუთხედში ჩასმული ადამიანის თვალია გამოხატული. პირამიდის პირველ საფეხურზე წარწერაა: "ANNUIT COEPTIS", რომელთა ასოების ჯამი 13-ია.

მეოთხე 13-იანი - პირამიდის წრის მარცხნივ, "ცხრა საათის მიმართულებით", 13 "მიმივისაგან" შემდგარი ნახატია, რომელსაც წვეროსკენ "მიმივები" უწვრილდება.

მეხუთე 13-იანი - გადმოვინაცვლოთ დოლარის მარჯვენა მხარეს... იქაც წრეა

(მარცხენა წრისაგან განსხვავებით, სადაც წააკეთილი პირამიდაა), მარჯვენა წრეში ფრთებგაშლილი არწივია, რომელსაც ნისკარტით ლენტი უკავია, სადაც იკითხება "EPLURIBUS UNUM", რომლის ასოთა ჯამი 13-ია.

მექვე 13-იანი - არწივის თავს ზემოთ მრგვალი ნახატია, რომლის შიდა წრეში მწვანე ფონზე 13 თეთრი ვარსკვლავია (ხუთქიმიანი).

მეშვიდე 13-იანი - არწივის გულზე დროშა აქვს ქვემოთ დაშვებული მწვანე და თეთრი ზოლებით, 6 მწვანე ზოლი, 7 თეთრი ზოლი, სულ - 13.

მერვე 13-იანი - არწივის მარცხენა ფეხის კლანჭებით ჩაბღუჯული აქვს ისრების კონა, რომელთა რიცხვი 13-ია.

მეცხრე 13-იანი - არწივის მარჯვენა ფეხის კლანჭებით ზეთისხილის რტო უკავია, რომლის ფოთოლთა რიცხვი 13-ია.

მეათე 13-იანი - ამავე წრის უკიდურეს მარჯვენა მხარეს, "3 საათის მიმართულებით", ასევე "მიმივია", როგორც მარცხენა მხარეს, რომლის ბურთულათა რაოდენობა, ასევე 13-ია.

ამბობენ, 13 თარსი რიცხვია და ამერიკელებს არ უყვართო. მაშინ, რატომია, რომ დოლარზე მთელი მსოფლიო გიჟდება?

სხვათა შორის, ასდოლარიანზე მსგავსი რამ არ შეინიშნება, ერთდოლარიანს კი ბევრი ატარებს გულის ჯიბით - ბარაკის მომტანიო.

ასეა ვითომ?!

ჩვენი სამართალდარღვევითა თუ გიზნისნილუბის გამო

სამართალდამცავთა მიერ თბილისის ელიავას ბაზრობაზე მდებარე 400-მდე სავაჭრო წერტილის დაღუქვას მიუქმა-მოთქმა მოჰყვა. არაოფიციალური ინფორმაციით სავაჭრო ობიექტების დახურვის სანქცია ბაზრობაზე შექმნილმა საეჭვო სიტუაციამ განაპირობა. მოვაჭრეები მომხდარს აპროტესტებენ, რის გამოც საავტომობილო ტრასა გადაკეტეს. მათი მტკიცებით, სამართალდამცავები ბაზრობის მუშაკებს მოპარული ავტომანქანების, ავტომანქანების სარკეებისა და სხვა ნაქურდალი ნივთების გაყიდვაში ადანაშაულებენ და რეიდის ჩატარების მიზეზიც ეს გახდა. განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს ბაზრის ადმინისტრაცია და შინაგან საქმეთა სამინისტრო. მოარული ხმებით კი, ელიავას ბაზრობაზე სამართალდამცავთა რეიდი შესაძლოა ბიზნესწილების გადახედვას უკავშირდებოდეს.



წარსულის ფურცლები

ფეხბურთის პიონერად საქართველო არა მხოლოდ ამიერკავკასიაში ითვლება. მაშინ, როცა ფოთში ინგლისელი მეზღვაურები გოლის გასატანად ეპაექრებოდნენ ქართველ "აბორიგენებს", ვეროპის ბევრ ქვეყანაში წარმოდგენაც კი არ გააჩნდათ სპორტის ახალ სახეობაზე რომელსაც "ფეხბურთი" ერქვა. მაშინ, როდესაც ფეხბურთმა გრგვინ-გასავით შემოუარა სამყაროს, საქართველო უკვე ითვლებოდა მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების ქვეყანად. სწორედ მაშინ წარმოჩინდნენ ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები ბორის პაიჭაძე, ძმები ჯუჯულაძეები, მიხეილ ჯოჯუა, ამირან ტყეშელაშვილი, ვლადიმერ მარღანიანი, ავთანდილ დოლობერიძე, შემდეგ წამოვიდნენ შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, კახი ასათიანი, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელიანი... ბოდიშს მოვიხდით ამგვარი არასრული სიის წარმოდგენისათვის, რადგან ქართული ფეხბურთის ამგვართა ჩამონათვალს ეს გახეით მთლიანად ვერ დაიტყვს.

პროფესიონალიზმი, რომელმაც სიძულვილს სძლია

ამბავი, რომელსაც ახლა მოგითხრობთ, 56 წლის წინ - 1953 წლის 26 ივნისს მოხდა. მძიმე ვაჟი იღვა მაშინ მთელ საბჭოთა კავშირში - ახალი გარდაცვლილი გახლდათ იოსებ სტალინი, მაგრამ უფრო მძიმე დღეები ქართველებს ედგათ რუსეთში, რადგან 1953 წლის 26 ივნისს დააპატიმრეს "მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტი" და "ხალხის მტერი" ლაურენტი ბერია. სწორედ მაშინ, საკავშირო ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალური მატჩის სათამაშოდ, ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში ჩავიდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შემდეგი შემადგენლობით: შალიკო კაკაბაძე, გურამ წვერავა, თენგიზ პეტრიაშვილი, ალიოშა ჩინუა, გარი სორდია, ვაჟა ჯოსაძე, მოსე დავარაშვილი, გურამ კასრაძე, შოთა ადამია, ანზორ კვაჭაძე, შოთა იამანიძე და ვიტალი კვინტრაძე. გუნდს წვრთნიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი არჩილ კიკნაძე (ამათგან ბევრი დღეს ცოცხალი აღარ არის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები). რამდენიმე წლის წინ ჩვენ გაზეთში გამოვაქვეყნეთ საქართველოს ფეხბურთელთა მაშინდელი ნაკრების წევრის, ონამირის "დინამოს" ყოფილი

ფეხბურთელის, ქართული სპორტის ვეტერანის, დამსახურებული სპეციალისტისა და ღირსეული პიროვნების, შემდეგ დევნილობაში მყოფი ბატონი შოთა ადამიას მოგონება: - ჩვენმა გუნდმა ზონალურ შეჯიბრებაში დაამარცხა სომხეთის, აზერბაიჯანისა და უზბეკეთის ნაკრები გუნდები და პირველ ადგილზე გავიდა. ფინალური შეჯიბრებები მინსკში იყო დაგეგმილი. მეთხედფინალში მოსკოვის ნაკრებს მოუგეთ, ნახევარფინალში - ბელორუსიის ნაკრებს და ფინალში უკრაინელთა პირისპირ დავდექით. ბიჭები თითქოს წინასწარ ვერძობდით გამარჯვების სიხარულს - მატჩის წინა სადამოს შესანიშნავ ხასიათზე ვიყავით, მწვრთნელი არჩილ კიკნაძე კი დაღონებული და შვწუხებულიც კი ჩანდა. ყურადღება არ მიგვიქცევია, გვეგონა რომ დამაბულმა დღეებმა გადააღწია, მაგრამ რაღაც არასასიამოვნო ეჭვი მაშინ გავგინდა, როდესაც მწვრთნელი ძილის წინ გავგესაუბრა: - ბიჭებო, ჩვენ უკვე ფინალში ვართ და წაგების შემთხვევაშიც მორე ადგილი გარანტირებული გვაქვს. ასე რომ, იმამაშეთ მშვიდად დარჯ მთავარია, ლამაზად, რადგან წაგება ლამაზადც შეიძლება. ჩათვალეთ, რომ ეს ჩემი მითითებაცაა! - გვითხრა მან და დასაძინებელი

ოთახისკენ ისე წავიდა, რომ ტირილს აღარაფერი უკლდა. ვერაფერს მიხედვით და სახტად დარჩენილები მიხერხებოდით ერთმანეთს. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ არჩილ კიკნაძემ "ხეშოდან" მკაცრი გაფრთხილება მიიღო - ბერიას თანამემამულეებს ამ ფინალის მოგების უფლება არა აქვთ და თქვენ ეს მატჩი უნდა წაგოთო. ბერიას დაპატიმრების თაობაზე ჩვენ მხოლოდ მატჩის დროს გავიგეთ, როდესაც ტრიბუნებიდან დაგვიშინეს ქვები; რას არ გეწოდებდნენ; მატჩი დაიწყო, მაგრამ ჩვენი ლანძღვა-გინება მაყურებელს არ შეუწყვეტია. მომხდარით გაოგნებულები ვიყავით, მაგრამ მაყურებელთა ამგვარმა დამოკიდებულებამ ფსიქოლოგიურად მაინც ვერ გაგვტყუა. დაბნეულები კი ნამდვილად ვნადით ყველანი. მატჩის პირველ ნახევარში მხოლოდ თავდაცვაზე ვზრუნავდით, მოედნის შუაგულში ვტრიალებდით, აუტის ხაზთან მისვლის გეგმიონდა, რომ ტრიბუნებიდან ნასროლი ქვა ან ბოთლი არ მოგვგხედროდა. მატჩის პირველი ნახევარი ფრედ დასრულდა - გოლი არცერთ კარში არ გასულა. მატჩის წაგება ცოცხალი თავით არ გვინდოდა. როგორც ჩანს, არჩილ კიკნაძესაც "უმტყუნეს" ნერვებმა, მოედანზე გასვლის წინ გვითხრა: წყალსაც

წავლია ყველაფერი, ეს თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ. დაიწყო მატჩის მორე ნახევარი და ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა - მოედანზე ნამდვილი ქარიშხალი დატრიალდა. მთელი სტადიონი ჯერ დადუმდა, შემდეგ კი აღტაცებას ვერ მალავდა ქართველი ყმაწვილების მიმართ, რომელთაც ზედიზედ გაჰქონდათ გოლი უკრაინელთა კარში. იმ დღის გმირად მთელი ჩვენი გუნდი უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მაინც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ალიოშა ჩინუას შემართება, რომელმაც სამი გოლი გაუტანა მეტოქეს. მატჩის დამთავრების შემდეგ სტადიონმა ნამდვილი ოცავა მოგვიწყო, მატჩის ორგანიზატორებმა კი ჩვენი გამარჯვების აღსანიშნავად შესანიშნავი ბანკეტი გაგვიმართეს. ასე სძლია ჩვენმა პროფესიონალიზმმა პოლიტიკურ სიძულვილს, რაც შემდგომ მაინც უბედურებად დაატყდა თავს ქართველ ხალხს. ახლა, როდესაც ათწლეულების წინ გადაღებულ ფაფითლებულ ფორტს დაგვხვდა ხოლმე, ერთმანეთს ცვლის გარდაცვლილი თანაგუნდელების ხსოვნით გამოწვეული ხევდა და სიხარული, რაც 1953 წლის 26 ივნისის მატჩში გამარჯვებამ მოგვიტანა.

შოთა ადამია

თაღლითობის დიდოსტატები

ჩვენი ხელისუფლების გადაკიდებებს როგორ შეიძლება ვინმეს თაღლითობამ გაგვაკვიროს. სად არ შეხვდებით აქ თაღლითებს: ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში, დეტალურად უზრუნველყოფაში, ხელისუფლების მიერ ღობიერებულ ბიზნესწრეებში, ძალოვან თუ არაძალოვან სტრუქტურებში... მაგრამ, როგორც ჩანს, თაღლითებსაც გააჩნიათ გარკვეული რანგები და გრადაციები. თუ ჩვენი თაღლითები უფრო ძალისმიერი მეთოდებით მოქმედებენ და გარანტირებული არიან იმით, რომ უმაღლესი ხელისუფლების მიერ ხელის დაფარებითა თუ წაყრუებით მათ არავითარი სასჯელი არ ემუქრებათ, ამერიკით კი და ევროპული თაღლითები უფრო "დახვეწილი" მეთოდებით მოქმედებენ, რათა სამართლიან სასჯელს როგორმე აარიდონ თავი. თაღლითობის ერთ-ერთი ასეთი დიდოსტატი გახლდათ ვინმე ვიქტორ ლუსტიგი, რომელიც 1890 წელს დაიბადა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ თაღლითად ითვლება, რომელსაც ოდესმე დედამიწაზე უცხოვრობია. იგი გამუდმებით რაღაც აფიორებს იგონებდა, ჰქონდა ორმოცდაათამდე ფსევდონიმი და თავისუფლად ფლობდა ხუთ ენას. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში ლუსტიგი ორმოცდაათჯერ დააკავეს, თუმცა მხილებათა არასაკმარისობის გამო ყოველთვის ათავისუფლებდნენ. პირველ მსოფლიო ომამდე მისი ვიწრო "სპეციალიზაცია" იყო ტრანსატლანტიკურ მოგზაურობებში თაღლითური ღატაროების მოწყობა. მისი ყველაზე გრანდიოზული აფერა კი ეიფელის კოშკის გაყიდვა იყო. 1925 წელს ლუსტიგი, ფათურაკების ძიებაში, პარიზში ჩავიდა და ერთ-ერთ გაზეთში წაიკითხა, რომ ეიფელის კოშკი შეიღებდა და შეკეთებას საჭიროებს. ლუსტიგმა გადაწყვიტა ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა და ყალბი სიგელები დაამზადა, თითქოსდა საფრანგეთის ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრის მონადგომე იყო, ხოლო სიგელის ასლი ჯარის ექვს ჩამბარებულს ოფიციალურად გაუგზავნა. შემდეგ ლუსტიგმა ლიდერები ძვირფას სასტუმროში მიიწვია და უამბო, რომ ეიფელის კოშკის შენახვის ხარჯი იმდენად დიდია, რომ მთავრობამ მისი ჯართად გაყიდვა გადაწყვიტა... დახურულ აუქციონზე - თითქოსდა იმ მიზეზით, რათა საზოგადოებრიობაში, რომელსაც კოშკი შეუყვარდა, უკმაყოფილება არ გამოეწვიათ. ლუსტიგმა საქმისნები დაიყოლია, ამბავი საიდუმლოდ შეენახათ. ცოტა ხანში მან კოშკის უტილიზების უფლება ანდრე პუასონს მიჰყიდა და ნადი ფულით დატენილი ჩემოდნით ავსტრიაში გაიქცა. პუასონმა, რომელსაც თავის სულელად წარმოიჩინა სულაც არ უნდოდა, მოტყუების ფაქტი დაშალა. ამის წყალობით, ლუსტიგი ცოტა ხანში კვლავ დაბრუნდა პარიზში და კოშკი იგივე სქემით... კვლავ გაყიდა. მაგრამ ამ ჯერზე არ გაუმართლა, ვინაიდან მოტყუებულმა ბიზნესმენმა პოლიციას მიმართა და თაღლითი იძულებული გახდა ამერიკაში გაქცეულიყო. 1935 წლის დეკემბერში ლუსტიგი დააპატიმრეს და გაასამართლეს დოლარების გაყალბებისათვის. მას 15 წელი მიუსაჯეს, 5 წელი კი განაჩენის გამოტანამდე ერთი თვით ადრე სხვა ციხიდან გაქცევისათვის "წაუმატეს". იგი 1947 პენემონით გარდაიცვალა ალკატრასის ცნობილ ციხეში, სან-ფრანცისკოს მახლობლად.

გიხაროდენ?

გაზეთ "ილორის" მკითხველს გვინდა შევახსენოთ, მეოცე საუკუნის დასარულს, ედუარდ შევარდნაძის თავდაცვითი შექმნილი "მოქალაქეთა კავშირის" მიერ ანგაჟირებულ ხელოვნათვის შეკვეთილი ლექსი "გიხაროდენ", რომელზეც, შემდგომ, ასევე ანგაჟირებულმა "მუსიკოსებმა" ქვეყნის მმართველ მახორვაძე "მოქალაქის" შეკვეთით შექმნეს პოლიტიკურ-თაღლითური ჰიმნი "გიხაროდენ". თუ მესხიერება არ გვალაღატოებს, ამ პოლიტიკურ ჰიმნს მაშინ ყველაზე დიდი მონდომებით მღეროდნენ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, შევარდნაძის ნათლული, მოგ-

ვიანებით ოპოზიციაში გაბარგებული მიხეილ სააკაშვილი და ანსამბლ "სახეს" სოლისტი გოგა ხაჩიძე, რომელსაც ამჟამად საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის თანამდებობა უკავია. ალბათ იცოდა მომღერალმა გოგა ხაჩიძემ, რომ მისი პოლიტიკურ-შემოქმედებითი აქტივობა "დაუფასდებოდა" და ამიტომაც მღეროდა ასეთი მონდომებით. ამ მართლაც სამარცხვინო და ამაზრუნე მოტივზე უკეთეს პაროდიას ვერავინ შექმნიდა ისე მოხდენილად, როგორც ეს გააკეთა სენაკის რაიონის სოფელ ზანას მკვიდრმა, ქალბატონმა ნარგიზა ვეჟამა.

გიხაროდენ! გიხაროდენ, ასე მშვიდად რომ გვედებოთ, გიხაროდენ, ცოლ-შვილი რომ შიმშილობს, გიხაროდენ, რომ შენს საქმეს უშინოდ, სხვა აკეთებს, შენზე უფრო უტივინო! გიხაროდეთ, გიხაროდეთ, გიხაროდეთ! რომ გამარჯვენ უპუროდ და უღვინოდ გეშინოდეთ, გეშინოდეთ, გეშინოდეთ, ქართველობა გადაშენდეს უძიროდ!

გლობალური დათბობა დედამიწის რამდენიმე უბანს ემუქრება

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ინფორმაციით, გლობალური დათბობა დედამიწის რამდენიმე უბნის ბუნებრივ სიმდიდრეებს განადგურებით ემუქრება. მათ შორისაა დიდი ბარიერული რიფი (ავსტრალია), ამაზონის ჭარბტენიანი ტყეები და მექსიკის უდაბნო. როგორც ფონდის ექსპერტები აცხადებენ, გლობალურ დათბობას პლანეტის ათ რეგიონში საგანგაშო ცვლილებები უკვე მოჰყვა. მაგალითად, მარჯნის რიფებმა ბუნებრივი ფერის დაკარგვა და კვლამ დაიწვეს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მექსიკის საზღვარზე მდებარე ჩიხუასუას უდაბნოს, სადაც 2500 უნიკალური სახეობის მცენარე ხარობს, განადგურება ემუქრება. ამის მიზეზი დაუსრულებელი

გვალგები და ტერიტორიის საზღვარზე გამოყენებაა. კარიბის ზღვაში მობინადრე კუს შვიდი სახეობიდან ექვსი გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამის მიზეზი ყინულების დნობით გამოწვეული ზღვის დონის ზრდა და მათი საბუდარი ადგილების დაკაობებაა. ტიბეტის ზეგანზე მდებარე მყინვარები, რომლებიც წელით კვებავენ მდინარე იანძის, ასევე დნება. არასახარბიელო ვითარებაა შექმნილი დედამიწის სხვა უბნებზეც. ექსპერტების შეფასებით, გლობალური დათბობის პროცესის შეწყობა და გაკონტროლება გარემოში გამონახობა აირების შემცირების გზით არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, დედამიწის ყველაზე დიდი დამბინძურებელი და ნავთობის ყველაზე დიდი მომხმარებელი ამერიკის შეერთებული შტატებია.



ილორი

რემა შელეგია


ქართული ხალხური ზეპირთქვის ხორიფაზი

შარშან შესრულდა 125 წელი შესანიშნავი ქართველი მომღერლისა და ლოტბარის რემა შელეგიას დაბადებიდან. რემა შელეგია ქართველ მოღვაწეთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ქართული ხალხური სიმღერის განვითარებისა და პროპაგანდის საქმეს შესწირა. უანგაროდ, თავდადებით ემსახურა იგი ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის იდეას, მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული ხალხური სიმღერის საშემსრულებლო ხელოვნება, აღადგინა და საზოგადოებას გააცნო მეგრული სიმღერის მრავალი მიეწვებული ნიმუში, საკუთარი ვარიანტები შექმნა და საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ხალხური სიმღერების დიდოსტატთა ოლიმპზე.

თანამედროვეთა შეფასებით, რემა შელეგია იყო ფილიგრანული ტექნიკის მქონე მომღერალი და სოლისტი, შეუდარებელი იმპროვიზატორი, რომელიც არასოდეს დაღატოვდა ქართული ხალხური სიმღერის შესრულების ტრადიციულ პრინციპებს. იგი ყოველთვის ცდილობდა მეგრული სიმღერის განუმეორებელი ხიბლის შენარჩუნებას, მისთვის დამახასიათებელი ლირიკული კოლორიტის წარმოჩენას.

რომანოზ (რემა) ზაალის ძე შელეგია დაიბადა 1883 წლის 7 ოქტომბერს მარტვილის რაიონის სოფელ ჯოღვეში. 8 წლის ასაკში იგი უკვე მღეროდა უფროსებთან ერთად. სკოლის დამთავრების შემდეგ, უსახსრობის გამო, სხვადასხვა ოსტატებთან მუშაობდა და ხელობას სწავლობდა. 1895 წლიდან იგი ეკლესიაში გალობდა.

1897 წელს ქუთაისში ჩადის გენიალური მომღერალი და ლოტბარი ძუკუ ლოლუა, რომლის გაცნობის შემდეგ რემა შელეგიას ერთადერთ საქმედ მხოლოდ ქართული ხალხური სიმღერებისადმი მსახურება იქცა. სიმღერა რემა შელეგიას ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, ადამი-



ანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმა იყო. ძუკუ ლოლუას მეუღლე, დაშა ჩიქოვანი ივონებს: "ერთხელ ძუკუს მოყვინ აჯყონია, ნამაჰავარიანი, ნ.კილა-

სონია და სხვანი. საგუნდო საქმეებზე კამათს ისე შეჰყენენ, რომ მეგონა ერთმანეთს დახოცავდნენ. ამ დროს კარი შემოაღო რემა შელეგიამ. მას გარედანვე მოუკრავს ყური ხმამაღალი საუბრისათვის და ფეხის შემოდგმისთანავე კუნხა ბედინერი წამოიწყო. უნდა გენახათ, როგორ უცაბედად გამოეთიშნენ კამათს და აჰყვენ რემას".

1914 წელს რემა შელეგია ნოვოროსისკიდან ბაქომდე ახლდა გასტროლებზე ძუკუ ლოლუას მომღერალთა გუნდს. შემდეგ კი მან საკუთარი გუნდი ჩამოაყალიბა. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა მომღერალთა გუნდებს ფოთში, სენაკში, სამტრედიოში, ქუთაისში, ხობში და სხვა ქალაქებში. ხშირად იგი რამდენიმე ქალაქში ერთდროულად მუშაობდა და მაინც წარმატებით ართმევდა საქმეს თავს.

1936 წელს რემა შელეგიას გუნდმა მონაწილეობა მიიღო თბილისის რადიოკომიტეტის მიერ მოწყობილ ფესტივალში და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. 1939 წელს რემა შელეგია ინიშნება დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელად.

დიდი სამამულო ომის მიმე დღეებში გუნდის წევრთა უმრავლესობა წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს, მაგრამ ბატონი რემა მაინც ინტენსიურად მუშაობდა. მისი გუნდი გამოდიოდა პოსტიტალებში, აწყობდა საქველმოქმედო კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, რისთვისაც მთავრობის არაერთი ჯილდო დაიმსახურა. იგი უკვე შეუძლოდ გრძნობდა თავს, მაგრამ მაინც ძველებური შემართებით შრომობდა.

1948 წელს რემა შელეგია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა. რემა შელეგია ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1955 წელს გარდაიცვალა და დაკრძალეს ქალაქ სენაკში.

ადამიანთა სევდა გურამ ოდიშარია

აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მწერლის გურამ ოდიშარიას შემოქმედებას კარგად იცნობენ წიგნის მოყვარულები. ამჟერად გთავაზობთ ბატონი გურამის მოთხრობას

განა – იძულებით ადგილნაცვალა პირი, განა – დევნილი, განა – დროებით გადაადგილებული, ან კიდევ სხვა, ოფიციალური თუ არაოფიციალური სახელი, არამედ – ლტოლვილი! სახელი, რომლითაც მას იცნობს საზოგა-

ის ომი, რომელიც აფხაზეთს დაატყდა თავს, ის სიცოცხლე და ის სიკვდილი, რომელიც აფხაზეთში, ქართველებში, რუსებში, სომხებში, უკრაინელებში, ესტონელებში, ბერძნებში, ებრაელებში თუ სხვებში და სხვებში რომ გადაიტანეს, ის უღელტეხილი, რომელიც გადალახეს ომს გარიდებულებმა და ბევრი სხვა რამ, ბიბლიური ტრაგედიების ასოციაციებს ბადებდა და მაშინ ლტოლვილს უფრო "დევნილი" მიესადაგებოდა. ამის გარდა, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, ვერ გავრკვეულიყავით, ვინ გაგვხადა ბედისწერამ, საიდან მოვდიოდით, საითკენ მივდიოდით და რა გველოდა. მაშინ, ლტოლვილს ჯერ არ ეძახდნენ "ლტოლვილს",

არც მის გარშემო შეცვლილა მაინც და მაინც რამე – მის ირგვლივ უამრავი არალტოლვილი, მაგრამ ლტოლვილის ფსიქოლოგიის მცხოვრები ადამიანია. ასეც ხდება თურმე – შეიძლება მშობლიურ სახლში ცხოვრობდე, მაგრამ ლტოლვილი იყო. არიან ადამიანები ლტოლვილები სხვებისთვის. არიან ადამიანები ლტოლვილები საკუთარი თავისთვის. ასეა, ურთულეს დროში ვცხოვრობთ, უამრავი რამ გადასაფასებელია და თავიდან საკვლევი, შესასწავლი. დიახ, ლტოლვილი ლტოლვილად რჩება, მის ცხოვრებაში თითქმის არაფერი შეცვლილა, მაგრამ ლტოლვილი დღეს მაინც

ერთ დროს თავისი მსჯელობის რომელიმე თაროზე თავისი რომელიმე ფორმულა ჩამოსდო, მერე მას ძალზე იშვიათად გადაადგილებს. ადამიანთა უმრავლესობას შეუძლია მთელი ცხოვრება ძველი ფორმულებით ისახროდოს. ეს მისი კომფორტული მდგომარეობაა. ყველაზე მეტად დღეს ჩვენ, ყველას, შემოქმედებითი ხედვისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის გაზარმაკება გვჭირს. ამიტომაც, რომ ძალიან ცოტა რამ იცვლება ჩვენს გარშემო, ზარმაცად ბრუნავს ჩვენთვის პლანეტა და დრო ველის მდინარესავით უწუმრად მიედინება. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, გაიხედავ და, აღმოაჩენ, რომ დიდი დრო გასულა, რომ დაბერებულხარ, რომ ცხ-

მარადონა შეხვდა. მარადონამ ჯიბიდან რუსული 5.000-იანი კუპიურა ამოიღო და პროფესორს ჩაუდო ხალათის ჯიბეში, თან უთხრა – მასსოვს, შენ ფულს მხოქნინდი სოხუმში, ახლა შენ ლტოლვილი ხარ, მინდა დაგეხმარო. როდესაც მარადონა წავიდა, პროფესორმა ცარიელი ბოთლებით სავსე ტომარა მიწაზე დადო და აქვითინდა – საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ლტოლვილი გამძღარიყო. ერთხელ, თბილისში, ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთში ასეთი განცხადება დაიბეჭდა – "ვარ 35 წლის, ლამაზი, მაღალი, ლურჯოვალეა ქალბატონი, მყავს 10 წლის შვილი, მაქვს ბინა და მანქანა, ვემეზამაქავს, რომელიც მეუღლეობას გამოიწევს..." და ასე

ლ ტ ო ლ კ ი ლ ი

დოება და ყოველდღიურ საუბრებში მოიხსენიებს, რომელიც შეარქვა, რომელიც პოპულარულია მისთვის, რომელიც გახდა დამლა – ამოტვიფრული მის სულში და თვალისთვის უჩინარი ბეჭედი – სამუდამოდ ჩარტყმული მისი ცხოვრების უვადო პასპორტიში. ლტოლვილი და მხოლოდ ლტოლვილი! მის სხვა სახელთაგან ზოგი ხელოვნურია, ზოგი ზედმეტად ხელოვნური, ზოგი უნიჭოდ მოკეკლეუცა, ზოგიც იურიდიულად მიიმე, დახლართული და ყაღბი. ყველა სხვა სახელი ტყუის და მხოლოდ "ლტოლვილი" არ გლავატობს, ის ისევე რეალურია, როგორც ცხოვრება, ბუნებრივი, როგორც მზე, წვიმა, ვარსკვლავები, და უკვე – მშობლიურიც. 1992 წლის დამდეგს, როდესაც ჩემი წიგნი "დევნილთა უღელტეხილი" დაისტამბა, მე ის "დევნილად" მოვიხსენიე, ის, ანუ იგივე, საკუთარი თავიც, რადგანაც მეც, ამ სტრიქონების ავტორიც, ლტოლვილი ვარ. "დევნილი" უფრო ბიბლიურია, ძველთუქველესი ჟღერადობის და

არც "დევნილს", არც "იძულებით გადაადგილებულ პირს"! ისე, ამდენი წლის შემდეგ დღესაც მიწმლება – როდესაც რომელიმე სხვა ქალაქიდან თბილისისაკენ მივემგზავრები ხანდახან, უნებურად, მშობლიური ქალაქის სახელს ვამბობ – სოხუმში მივდივარ-მეთქი. ამის გარდა, ერთ რამესაც დავაკვირდი – ქალაქი სადაც ყოველთვის სადღაც მიგეჩქარება, ვერასოდეს გახდება შენი ქალაქი. მე კი, თბილისში, დრო არასოდეს მყოფნის და სულ სადღაც გავრბივარ, ხანდახან თავქუდმოგლეჯილიც. კიდევ ერთი რამ – ადამიანი მხოლოდ საკუთარ ქალაქში ამბობს სიტყვას "მოვედი". მე ვიცნობდი ძალიან ბევრ ლტოლვილს, რომლებიც ისე წავიდნენ ამ ქალაქიდან, რომ ვერა და ვერ თქვენს ის ნანატრი "მოვედი". ომის დაწყების დღიდან თითქმის ჩვიდმეტი წელია გასული, დამთავრებიდან კი – თითქმის თექვსმეტი. ლტოლვილთა ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა, ის ისეთივე ლტოლვილია, როგორიც იყო.



ისეთი არ არის, როგორც იყო – ის არ არის დღეს ისეთი მარტივი, უწინ რომ წარმოგვედგინა, ის დღეს ვერა და ვერ ეტევა ძველი სტერეოტიპების არტახებში. ადამიანი ბუნებით ზარმაცია, მას არ სურს გამოწველივითი ანალიზი, ის აერთიანებს ცნებებს, რათა გაიადვილოს აზროვნება, ამარტივებს არგუმენტებს. თუ

ოვრების საათის ისარი ცაიტნოტის ნიშანს მიუახლოვდა. * * * ახლა სულ რამდენიმე მინი-სტორია ლტოლვილის ცხოვრებიდან. ამ ისტორიებს იმისათვის კი არ ვწერ, რომ ვინმეს თანაგრძნობის ცრემლი მოვგვარო, არამედ იმიტომ, რომ ამ სტერიქონების მკითხველს, ისევე როგორც საკუთარ თავსაც, ერთხელ კიდევ შევახსენო ზოგი რამ. ამის გარდა, დღეს ცრემლისა და სენტიმენტალობის, უნის მონღექის დრო კი არ არის, არამედ გამოსავლის, ხსნის გზების ძიების დროა. შევეცდები ლაკონური ვიყო. ქ ა რ თ უ ლ - ა ფ ხ ა ზ უ რ ი შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, ერთ ჩემს ნაცნობ პროფესორს სოჭში მოუწია ცხოვრება. მატერიალურად ძალიან უჭირდა და ბოთლებს აბარებდა მიმღებ პუნქტებში. ერთხელაც მას ქუჩაში სოხუმელებისათვის კარგად ნაცნობი მხიარული კაცი (გიუს ვერ ვაკადრებ), სოჭში სოხუმიდან ერთი დღით ჩასული

შემდეგ. განცხადება მთავრდებოდა შემდეგი წინადადებით – "შელოტები, დაბლები და ლტოლვილები ნუ გამოემხმავრებიან!". მასხენდება ერთი საგაზეთო განცხადებაც, რომელსაც რამდენიმე მოქალაქე აწერდა ხელს, თითოეული მათგანის სახელისა და გვარის ქვეშ მინიშნებული იყო მისი პროფესიაც – ექიმი, ინჟინერი, მასწავლებელი... და მხოლოდ ერთი მათგანის სახელი და გვარი იყო გამორჩეული, ის მოხსენიებული იყო არა პროფესიის მიხედვით, არამედ, როგორც "ლტოლვილი". ერთხელ თბილისში, ელიავას ბაზრობაზე, ვნახე, თუ როგორ ჰყიდა ლტოლვილი ქალი ყველჩახარშულ ღომს. ის დახლებს შორის მოდიოდა, ხელში ღომდაგებული თევშებით სავსე დიდი სინი ეჭირა და იძახდა – "შეგარდნაძე, შენი ცოლი ვნახე ასე, ჩემსავით ღომს რომ ყიდდეს ბაზარში". ომის შემდეგ დედაჩემი აბაშის რაიონში, მშობლიურ სოფელში დასთან ცხოვრობდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში. გაგრძელება მე-8 გვ.

გაგრძელება.

ლ ტ ო ლ ვ ი ლ ი

ერთხელ, ჩემი იქ ყოფნისას, მეზობლის გოგონამ მოგვინახულა. საუბრისას მან თქვა - ახლა ქუჩაში ლტოლვილი შემხვდა. დაინტერესდი იმ ლტოლვილით, რომელიც იმავე სოფლის მკვიდრი აღმოჩნდა, ომამდე, სულ ხუთიოდე წლით ადრე საცხოვრებლად აფხაზეთში გადასულიყო. ომის შემდეგ კვლავ მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და სოფლის ბოლოს სახლაკი აიშენა, მაგრამ მთელი სოფელი დღესაც ლტოლვილს ეძახის, მისი სახელიც ცოტამ იცის. არადა სულ ხუთი წლით დატოვა სოფელი.

ომის შემდეგ ჩემი ერთი მეგობარი, აწ გარდაცვლილი, ძირძველი სოხუმელი, თამაზ კვარაცხელია თბილისში თავის საკუთარ ბინაში ჩაკეტა, მხოლოდ სოხუმელი ლტოლვილების დაკრძალვის დროს გამოდიოდა ხოლმე სახლიდან, და იქ მისულ თანაქალაქელებს მალულად იღებდა ფოტოაპარატით. შემდეგ თავის ჩაკეტილ ბინაში იმ სურათზე აღბეჭდილ სოხუმელებს შორის ცხოვრობდა. ასე გრძელდებოდა მისი ლტოლვილობა წლების განმავლობაში. ის ერთ-ერთი ახალგაზრდა სოხუმელი კაცის დასაფლავების დროს მოკვდა, ლტოლვილებს შორის დაღია სული.

ადღომის ერთი დღია მახსენდება: ლტოლვილმა ქალმა სასაფლაოსკენ მიმავალი უცნობი თბილისელი ქალბატონი შეაჩერა, სანთელი გადასცა და სთხოვა - "თქვენი გარდაცვლილების საფლავზე დაანთეთ და ჩემი გარდაცვლილები იგრძნობნენ". კიდევ "პასკა" და შედეგები კვერცხები გააუღია.

ერთ ონაშჩირელ ლტოლვილ ქალს ვიცნობ, რომელიც იმ ხილს, ონაშჩირეში, ეზოში რომ ხარობს, პირს არ აკარებს. ის ასე უცხადებს პროტესტს ბედის უაღმარებობას.

ჩემი ახლობელი დღესაც საავადმყოფოში ოჯახთან ერთად ცხოვრობს. მისი ოთახი სარეანიმაციოს გვერდითა და მისი ბავშვები კვირაში რამდენჯერმე ხდებიან უცნობი ადამიანების სიკვდილის მოწმე. დღეს ისინი საავადმყოფოს უცვლელი ჭირისუფლები არიან.

ჩემს რვეულებში მხგავსი ასობით ისტორია მაქვს ჩაწერილი.

ლტოლვილს ნებისმიერ საუკუნეში და ნებისმიერ ქვეყანაში დისკომფორტი შეჰქონდა, მისი სიმრავლე ადრე სისხლისმღვრელ კონფლიქტამდე მკვეთრად ცვლიდა ამა თუ იმ რეგიონში გაცილებით ადრე არსებულ წესსა და რიგს (გაისხენეთ თუნდაც შუა საუკუნეების იტალია).

ნებისმიერი დროის ლტოლვილების ცხოვრება ხშირად წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს სულიერი განცდებით, ფსიქოლოგიური ფორიაქით, სასოწარკვეთილი მდგომარეობის ძლევის, ცხოვრების განახლების, ღირებულებათა გადაფასების უნარით.

ლტოლვილს ბევრ ადამიანზე გაუტყდა გული - ნათესავზე, მოკეთხეზე, ახლობელზე... და ამავდროულად, ტრაგედიის, დიდი დეპრესიის პერიოდში ბევრი მეგობარი, საიმედო, კეთილშობილი ადამიანი შეიძინა.

რას ვერ გადაურჩა თბილისი

მრავალი განსაცდელი გადაიტანა საქართველოს საყვარელმა დედაქალაქმა, გარემუ მტერთა მრავალ შემოსევასა და ხიფათს გადაურჩა, და მაშინ, როცა თითქოს მან მოიპოვა მშვიდად არსებობის უფლება, მაგანთა წყალობით ისეთი გამრუდებული რეაქციების წინაშე აღმოჩნდა, რომ ეჭვის ქვეშ დადგა მისი მრავალსაუკუნოვანი წარსული.

ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ 1956 წლის მარტში საბჭოთა ჯარისკაცების მიერ თბილისში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედია, რამაც ქალაქის ქუჩებში სტალინის სახელისა და ღირსების დასაცავად მშვიდობიანი პროტესტის გამოსახატად გამოხული უამრავი ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური ხელისუფლება გრძნობდა საკუთარ დანაშაულს ქართველი ერის წინაშე და ცდილობდა ჩვენი გულის მოგებას. სწორედ მაშინ, რომელიც ქართველ თუ არაქართველ პარტიულ ფუნქციონერს თავში გაუნდა ერთი "გენიალური" იდეა, რაც მალე აიტაცა ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა დანაშაულებრივმა გარემოცვამ. საკავშირო დონეზე გადაწყდა, რომ 1958 წელს საქართველოს დედაქალაქში გამართულიყო გრანდიოზული იუბილე, რომელიც მიეძღვნებოდა ქალაქ თბილისის დაარსებიდან 1500 წელს.

აქ, თავშივე იქნა დაშვებული საბედისწერო შეცდომა, რომელიც შემდეგ მოხერხებულად გამოიყენეს საქართველოს მტრებმა, ჩვენ კი რატომღაც დღემდე ვერ ვახერხებთ მის გაქარწყლებას, თუ არ გავითვალისწინებთ რამდენიმე მეცნიერი არქეოლოგისა და ისტორიკოსის დოკუმენტურ მტკიცებულებებს, რომლებიც სხვადასხვა დროს ცდილობდნენ ჭეშმარიტების დადგენას. საუბარია იმაზე, რომ უნდა გადაგვეხადა თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქად გადაქცევის 1500-წლიანი იუბილე და არა მისი დაარსების დღე. მოგვიანებით, დიდმის შემოგარენსა და თბილისის ისტორიულ ნაწილში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებმა არაერთგზის დაგვარწმუნეს, რომ თბილისი თავისი დაბადებიდან სამი ათას ხუთას წელზე მეტს მაინც მიითვლის. მაგრამ, ამაზე ოდნავ ქვემოთ...

1958 წელს თითქმის მთელმა მსოფლიომ, და მათ შორის სომხებმაც, გულითადად მოულოცეს საქართველოს მისი დედაქალაქის საიუბილეო თარიღი. ზუსტი თბილისში რამდენიმე დღე გრძელდებოდა. მაგრამ, არ გასულა სამი წელიწადი, რომ სომხებმა "გრანდიოზული" აღმოჩენა გააკეთეს - საიდანღაც ამოთხარეს მათ მიერვე წინასწარ ჩამარხული ქვის დიდი ლოდი იმის დამამტკიცებელი წარწერით, რომ ერევანი თურმე 2750 წლის ყოფილა.

რატომ, მაინც და მაინც, 2750 წლის, არც მეტი და არც ნაკლები?

სომხები რისი სომხები იქნებოდნენ, ყველასათვის ეშმაკობაში რომ არ ეჯობნათ? ყველას კარგად ახსოვს ის ამბავი, რომ მეოცე საუკუნის სამო-

ციან წლებში იუნესკომ გადაიხადა რომის დაარსების 2700 წლის იუბილე. სომხებმა კი ჩვეული "თავმდაბლობით" დააფიქსირეს, რომ ერევანი მხოლოდ ორმოცდაათი წლით არის რომზე უფროსი. უფრო მეტად რომ გაეზარდათ სომხებს ერევნის ასაკი, ეს უკვე რომის იმპერიის ცივილიზაციის ქვაკუთხედის - ეტრუსკების კულტურის ხელყოფა იქნებოდა, რასაც მათ არავინ აპატიებდა. ასე მოველინა ქვეყნიერებას 2750-წლიანი ერევანი, რომელსაც მაშინაც ირონიული დიმილით ხედებოდნენ ავტორიტეტული მეცნიერები, მაგრამ სომხური კონიაკისა და შვედის მოყვარულმა საზოგადოებამ მაინც დიდი ხმაურითა და ზარ-ზეიმით აღნიშნა ეს ფსევდოდღესასწაული.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ დღეს სომხები აღარც კი ახსენებენ ლამის სისულელედ ქვეულ ერევნის ასაკს - 2750 წელს, რადგან, აშკარად ჩაუვარდათ კოეზი ნაცარში და რამდენიმე ავტორიტეტულმა მეცნიერმა საკმაოდ მწვავე წერილი უძღვნა სახელმწიფო თადლითობის რანგში აყვანილ ამ სამარცხირო მოვლენას. მაგრამ, სომხები მაინც ეცადნენ, რომ გაეზვიადებინათ თავიანთი წვლილი მსოფლიოს ისტორიაში და პრაქტიკულად არაფრისაგან შექმნეს არარსებული ისტორია.

ჩვენ კი, ბედოვლათმა ქართველებმა, ისიც ვერ მოვახერხეთ, რომ რეალობა რეალობად წარმოგვედგინა და ჩვენვე ჩამოვაჭერთ თბილისს ლამის ორი ათეული საუკუნემოკლედ რომ ეთქვათ, მრავალჭირნახული თბილისი, რომელიც მრავალი მტრის შემოსევას გაუმკლავდა და გადარჩა, მაგანთა ყალბ პათოსს შეეწირა.

ტყუილად კი არ გვეძახიან სომხები "გიჟურაჯუნს"!

სიბიჭის რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართული სისულელე რომ სახეზეა, ამას წყალი არ გაუვა.

ახლა, რაც შეეხება თბილისს და მის ასაკს. ცნობილი ლეგენდის მიხედვით საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალმა მიმინოთი ხოსხობი მონადირა, მაგრამ ფრინველები ცხელ წყაროებში ჩაცვივდნენ და ჩაიხარშნენ. ძალიან მოეწონა თურმე მეფეს ის ადგილი, ქალაქის აშენების ბრძანა და თბილი წყაროების სიმრავლის გამო მას "თბილისი" უწოდა. თუმცა, ზოგიერთი მეისტორიე გაკერით აღნიშნავდა, რომ იმ ადგილებში უკვე არსებობდა საკმაოდ დიდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დასახლება. მაგრამ იმდენად ლამაზია მეფე ვახტანგ გორგასალის სახელთან დაკავშირებული აღნიშნული ლეგენდა, რომ, შეიძლება, მისი დანგრევა არ მოისურვებს თვით დიდმა ისტორიკოსმა, სულმანთა ივანე ჯავახიშვილმა და სხვა ქართველმა მეცნიერებმა.

ჯერ ერთი, საქართველოზე უხსოვარი დროიდან გადიოდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ე.წ. "აბრეშუმის გზა", რომლის ერთი განშტოება სწორედ თბილისს კვეთდა ნარიყალასთან, სადაც კვითვან აშენებული იყო საბაჟო და ქარვასლები და ამ ადგილს ერქვა თბილისი. ამიტომ არის გამორიცხული, რომ აქ თუნდაც სამი ათასი წლის წინათ არ

ყოფილიყო სოლიდური დასახლება, რაც დასტურდება კიდევ ქალაქში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით.

ასევე, განსხვავებით გვინდა წამოვიყენოთ ერთი პიპოტეზა, რაც საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებას უკავშირდება.

"დაბადება" გვაუწყებს, რომ ნოეს ძემ იაფეტმა სათავე დაუდო ევროპასა და აზიაში გავრცელებულ მრავალ ხალხს. თავად სიტყვა "იაფეტი" ნიშნავს "გავრცელებას". სხვადასხვა ხალხის მამამთავართა შორის ბიბლიის ძველი, განსაკუთრებით კი ქრისტიანი კომენტატორები ქართველთა მამამთავარსაც ასახელებენ - ის ყოფილა იაფეტის ძე თუბალი.

იაფეტის შთამომავლობა ასეთია:

- "იაფეტის ძენი: გომერი, მაგოვი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშუქი (მესეხი) და თირასი."

"თუბალ, მესეხი" - როგორც დაბადებაში, ასევე წმიდა წერილის მრავალ ადგილას ეს ორი ხალხი, როგორც წესი, ერთიანდებიან და ერთად გამოისახებიან მაგოვის მოხარკეებად - გვაუწყებს ებრაელი. ამავე წყაროთი მათი საცხოვრისი განიხილავდა პალესტინის ჩრდილოეთში. ასირიელი მეფეების ანალებში ხშირად მოიხსენიება Muski და Tabal, ვითარცა ორი მეზობელი ხალხი, მცხერები კილიკიაში, ხოლო ჰეროდოტე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ტიბარენებსა და იბერიანელთა (იბერთა) და მოსოხთა შესახებ, კოლხიდის მეზობლად მცხოვრებთა თაობაზე.

ფრთხილად საინტერესო, ობიექტურ დასკვნას აკეთებს ქართველი ერის წარმომავლობაზე ცნობილი რუსი პუბლიცისტი ვასილ ველიჩკო თავის ასევე ცნობილ ნაშრომში "კავკასია":

"ქართველთა წარმომავლობა ახსნილი არ არის, რაც მიუთითებს ამ ერის უძველეს წარმოშობაზე. ამასთან, როგორც ჩანს, ეს ერი არც მთლად ერთგვაროვანია, რასაც ადასტურებენ ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემები, სახელწოდებები და ქართული ფიზიკური ტიპის სახესხვაობა. მასკავრების ოდინდელ დედოფალს თამარისა ერქვა, ე.ი. თამარი, საქართველო კი, როგორც პირენეის ნახევარკუნძული, - "ივერიად", ე.ი. "იბერიად" იწოდებოდა. და ახლაც, თუ ყურადღებით დააკვირდებით ქართველის სულიერ და ფიზიკურ სახეს, ძნელი არ გახლავთ მისი ესპანელისადმი მიმსგავსება, კელტიბერთა რომანიზირებულ შთამომავალთან გაიგივება. ამავე დროს, არსებობს ცნობები ქართველთა დასახლებებზე ჩრდილოეთ აფრიკაში. ქართველთა ლექსიკა აშკარად ცხელი ქვეყნების ლექსიკას ეკუთვნის, რადგან მრავალი ცნება წყალს უკავშირდება. მაგალითად, სხვაზე ზრუნვა ნიშნავს "წყალობას", უპოვარი - "საწყალს", უსაქმური - "წყალწადებულს" და სხვა. ამგვარი მეტაფორები, როგორც წესი, არ იტყუებიან. შედარებით გვიან პერიოდში ქართველებმა გულითადად მიიღეს ებრაელები, რომლებიც აქ ნაბუქოდონოსორის პერიოდში ჩამოსახლდნენ. დღემდე იმერეთში ცხოვრობს ებრაელების საკმაოდ რაოდენობა, რომელთაც

გარეგნობით ვერ გამოარჩევთ ქართველებისგან. წმინდა ნინო განმანათლებლის ცხოვრება მოწმობს, რომ მცხეთაში, საქართველოს უძველეს დედაქალაქში, მრავალი ებრაელი ცხოვრობდა. ადგილობრივი სოფლების ბიბლიური დასახელებები ამის აშკარა დასტური გახლავთ".

მაშასადამე, ბიბლიური თუბალი წინაპარია - იბერებისა ანუ ქართველებისა (აღმოსავლეთ საქართველოს), იოსებ ფლავიუსის ამ კომენტარს ეთანხმებიან და ავრცობენ ჩვენი მეცნიერები. რაც შეეხება ბიბლიურ მოსოქ-მოსოხს, ისიც ქართველთა (მესხური ტომის) წინაპრად იყო მიჩნეული (რუსები "Мокс"-ად მოიხსენიებდნენ. გაისხენეთ ცნობილი ნაწარმოების "დათა თუთაშხიას" პერსონაჟი - ლაზი აზნაური არხნეე მუსკია).

აქედან გამომდინარე, რატომ უნდა გამოვირიცხოთ ის ვერსია, რომ თბილისს ეს სახელწოდება არა თბილი წყაროების, არამედ სწორედ თუბალის პარტეისაცემად დაერქვა და თავიდან იგი იწოდებოდა "თუბალისად". მაშინ ხომ, შესაბამისად, ბევრად გაადვილდება მისი ბიოგრაფიის დადგენა.

სამწუხაროდ, მე ისტორიკოსი არ ვარ და ამაზე შორს ვერ წავაღ, რათა ჩემეულმა ვერსიამ რაიმე გაუგებრობა არ გამოიწვიოს. ის კი სასურველია, რომ ამ მიმართულებით იმუშაონ სპეციალისტებმა, რაც ნათელს მოჰყენს საქართველოს დედაქალაქთან დაკავშირებულ მრავალ საიდუმლოს, და რაც მთავარია, საბოლოოდ დადგინდება მისი რეალური ასაკი.

ისიც სამწუხაროა, რომ მარტივი ქართული დარდიმანდული ფორმულა: "ეს ხომ მაინც ასეა", ხშირად გვაყენებს ხოლმე უხერხულ მდგომარეობაში, რადგან ჩვენს ისტორიაში არსებულ გაუნათებელ ეტაპებს მოხერხებულად იყენებენ საქართველოს დაუძინებელი მტრები საკუთარი ბინძური მიზნების მისაღწევად. განა ჩვენი თვითკმაყოფილებისა და წაყრუების შედეგი არ გახლავთ ის, რომ დღეს ზოგიერთი პოლიტიკოსი მთელ მსოფლიოს თავხედურად უმტკიცებს: "საქართველო არასოდეს ყოფილაო ერთიანი სახელმწიფო..."

მართლაც ახია ჩვენზე!

ამასთან დაკავშირებით, მინდა გავისხენო კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი: 1959 წელს ტრაგიკულად დაიღუპა ქართული პოეზიის მეფე ვალაკ-ტიონი. მისი აღსრულებიდან სამი დღის შემდეგ გახეთ "თბილისში" დაიბეჭდა წერილი სათაურით "როდის დაიბადა ვალაკტიონი?". დიდი პოეტის დაბადების სავარაუდო თარიღად მიჩნეული იყო 1889 და 1891 წლები. არა და, ერთი კვირით ადრე თავად სულმნათ ვალაკ-ტიონთან რომ დაგვედგინა მისი დაბადების თარიღი, ასეთ უხერხულ სიტუაციაში არ აღმოჩენილებოდა.

ხშირად აღმოჩნდებით ამგვარ არასახარბიელო მდგომარეობაში, ვიდრე არ გვექნება ერთიანი ქართული იდეა, ვიდრე, ჯერ თავაკეთებთ, შემდეგ კი იმაზე ვიმტკერვთ თავს, სწორად გავაკეთეთ ესა თუ ის საქმე!

როლანდ ჯალაღანია



ილორი

მოკლე ბიოგრაფიული შტრიხები

გიორგი ჭყონდიდელი

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი გახლდათ პირველი ვეზირი საქართველოს მეფე დავით აღმაშენებლის კარზე. დავითის მეფედ კურთხევის შემდეგ მისი პირველი მრჩეველი და მესაიდუმლე სწორედ გიორგი ჭყონდიდელი იყო. ჯერ კიდევ დავითის გამეფებამდე იყო უფლისწულის ერთ-ერთი აღმზრდელი. დავითის ისტორიკოსი ასე ახასიათებს მას: "კაცი სრული ყოველითა სიკეთითა და სულისა და ხორცთათვისა, სავესი სიბრძნითა და გონიერებითა... სვიანი და ფრთხილი".

რუს-ურბნისის 1104 წლის საეკლესიო კრებაზე გატარებული ღონისძიებების შემდეგ საჭირო გახდა გადაამტრელი ზომების მიღება, რათა ეკლესია საბოლოოდ დამორჩილებოდა მეფის ხელისუფლებას. ამისათვის კი აუცილებელი იყო ყველაზე გავლენიანი საეკლესიო პირის სახელმწიფო მმართველობაში მოყვანა ან რომელიმე უხუცესისათვის დიდი საეკლესიო თანამდებობის მინდობა. ამიტომ აღმაშენებელმა მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობები გააერთიანა. ამ ნაბიჯს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: რუს-ურბნისის საეკლესიო კრების ყველაზე აქტიური მონაწილე მეფის ერთგული მოხელე მწიგნობართუხუცესი, ამავე დროს, საეკლესიო სფეროში გავლენიანი თანამდებობის მფლობელიც გახდა. შემდგომში დავითმა ჭყონდიდელს დაუქვემდებარა კიდევ ორი ეპარქია: ბედიისა – აფხაზეთში და ალავერდის – კახეთში. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი არ იყო სამხედრო ხელისუფალი, მაგრამ სამხედრო საქმე – დაშქრობები და დაშქრის ორგანიზაციის საკითხები მის გარეშე არ წყდებოდა. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი დავით აღმაშენებელს თან ახლდა ოსეთსა და ყივზაღეთში. "ხელმწიფის კარის გარიგება" გვამცნობს, რომ იგი "ვით მამა არს მეფისა, აგრე ყველა საურავი უიმისოდ არ იქნების". უამთაღმწერლის დამოწმებით კი "სამეფოსა და სახლის განგებაც" მისი მოვალეობაა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი "სააჯო კარსაც" ედგა სათავეში და სახელმწიფოში მართლმსაჯულებასაც განაგებდა.

კორნელი შორიშვილი გაგრძელება მე-4 გვ. დან

რამდენისამე დღის უკან, 7 მაისს, ინგლისელებმა ყულევს ზარბაზნები დაუშინეს. ეს დაბა ოცდახუთის ვერსის მანძილზეა ზუგდიდიდა, ზღვის პირას. სასახლის აივნიდან გვესმოდა ყოველი დაცლა ზარბაზნისა და ვხედდავით ზარბაზნის კვამლს. მის შემდეგ ყულევი ოსმალოს ჯარმა აიღო, ომი გახურდა და მოკლე-ხანში სამეგრელო ბრძოლის ველად გადაიქცა.

სამეგრელოს მმართველად დანიშნულს დედოფალს ძალიან გაუჭირდა საქმე. იმის მაგივრად, რომ შეიღებოდა აღეზარდა, უნდა ეზრუნა სამთავროს მართვისა და მამულის მოვლისათვის, რაიცა მისთვის სრულიად ახალი და უცნობი საქმე იყო. ქმრის სიცოცხლეში დედოფალი ოჯახის საქმეთა გარეშე არაფერში ერეოდა და თვით დავითიც არაფერში ურევდა, ამიტომაც იძულებული შეიქმნა ყველაფერი თავიდან ესწავლნა და ისიც თავისით, რადგან მახლები ისეთ კაცებად ვერ სცნო, რომ მინდობოდა ყველაფერში და მათის რჩევა-დარიგებისათვის დაეჯერებინა.

დედოფალი ექვს საათზე დგებოდა; რვა საათიდან მოხონებებს იღებდა; აღმოსავლეთის ჩვეულების თანახმად, მასთან ყველას შეეძლო შესულიყო; ყველასათვის უნდა მოესმინა თხოვნა, ყველა უნდა დაკმაყოფილებული გამოესტუმრებინა, ყველა უნდა შეერიგებინა. სადილობამდე ამ საქმეს უნდებოდა. საღამოს ისევ დაიწყებდნენ მოხონებები დენას. სამუშაო ბევრი ჰქონდა, ამასთან, ის სამუშაო ძალიან რთული იყო, თუ არ დავივიწყებთ იმას, რომ დედოფლის წინამოადგილედ მისი მეუღლე იყო, რომელმაც აუარებელი კითხვები აძობდა. დავითმა იცოდა, რა როგორ უნდა გაეკეთებინა, ყველაფერში ცოდნა ეტყობოდა, თუმცა ისიც უნდა ეთქვათ, რომ ხშირად პირადის სარგებლობისათვის მოქმედებდა. დედოფალი იძულებული იყო, რა თქმა უნდა, იმავე გზით ევლო, თუნდაც იმისათვის, რომ დავითის დაწყებული საქმე განეგრძო და შეიღებოს ქონებისათვის ეპატრონებინა; მაგრამ აქაც საჭირო იყო ცოდნა და მიხედვრილობა, რაიცა ყველას ერთნაირად არა აქვს მინიჭებული. მით უფრო ვერ მოსთხოვდა ამ ცოდნას კაცი იმ ქალს, რომელიც საქმისათვის მომზადებული არ იყო, ხოლო ეს საქმე, როგორც ვიცით, მას სრულიად მოულოდნელად და ძალიან გაჭირებულს დროს დაეკისრა.

უმეტესად მაშინ გაჭირდა საქმე, როცა აფხაზეთიდან ზღვის ნაპირით ჯარებმა დაიწყო დენა სამეგრელოზე გასაველად. დედოფალი იძულებული იყო ჯარებისათვის ხელი მოემართნა, დახმარება აღმოეჩინა. ამავე

სამეგრელო ყირიშის ომის დროს

დროს, არც გზები ვარგოდა და არც ხიდები გააჩნდათ სადმე. გარდა ამისა, უნდა შეედგინა ადგილობრივი მილიცია, რადგან ომი სამეგრელოში უნდა ატეხილიყო.

ოსმალებმა ყულევი რომ აიღეს, დედოფალმა ზუგდიდის თავი დაანება და მთავრის საზაფხულო სამყოფელ ადგილას, გორდში, გადაებარგა. აქ დედოფალს გაფაციცებით ყური უნდა ეგდო, როგორ მიდიოდა ბრძოლის საქმე დუნაის სამთავროებსა და მცირე აზიაში. ამავე დროს ამბავი მოუვიდა, აფხაზეთში ოსმალების ფაშა სეფერ-ბეი გამოვიდა, თან მოჰყავს ორი ათასი ჯარი და მოქვს ოცდათექვსმეტი ზარბაზანი. მის ჯარს შემოუერთდნენ მეზობელი მთიულნი ჯიქები, უბიხები, შაფსულები და ნათუხაველები. თვითონ სეფერ-ბეი ნათუხაველი იყო, მთის ხალხთა შორის დიდი გავლენა და ხმა ჰქონდა, რამდენიმე ენა იცოდა, მათ შორის რუსულიცა, და რუს-ოსმალოს ბრძოლის დროს იმსახრებდა – რუსის ჯარის ძალა მთიულეთთან ბრძოლის დროს შეესუსტებინა. ამიტომ, მოიხმო მთიულნი და ურჩია გალაშქრებულიყვნენ სამეგრელოსა, იმერეთსა და გურიაზე.

1854 წელს ქუთაისის გუბერნიასა და სამეგრელოში დაბანაკებულ ჯარების სარდალად დანიშნულ იქნა გენერალ-მაიორი თავადი ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი. შთამომავლობით ქართველი იყო ახალი უფროსი ჯარებისა, ზედმიწევნით იცნობდა ამ მხარეს, ხალხს და მათს ზნე-ჩვეულებას. მისი დანიშნა გურული რაზმის (ასე ეძახდნენ რიონის ვაკეზე დაბანაკებულ ჯარებს) უფროსად დედოფალს ძალიან გაეხარდა. ჯერ ერთი, უხაროდა ისა, რომ მისის ქვეყნის დაცვა მთვარობამ ომში გამოცდილ კაცს მიანდო, მეორეც, ეს კაცი მისი მახლობელი ნათესავი და ძველი მეგობარი იყო.

თავადი მუხრან-ბატონი პფიცრობდა, ინგლის-ფრანგების ჯარი თუ შემოვა სამეგრელოში ისევ შავის ზღვიდან შემოვაო და ამიტომ დედოფალს გაცნო თავისის გეგმა მომავლის მოგერიებისათვის ომისა. თ. მუხრან-ბატონის გეგმა ხელმწიფე იმპერატორმაც მოიწონა და საკუთარს ხელით დააწერა: "შეგენიერი და ჭყვიანურია".

მუხრან-ბატონის აზრით, ბრძოლის ახპარეზად უნდა გამხდარიყო სამი ადგილი: ჩრდილოეთიდან – მდ. ენგური; სამხრეთიდან – მდ. სუფსა; დასავლეთიდან – ზღვის ნაპირი. მტერი თუ შემოგვესია, ამ სამში ერთის ადგილიდან უნდა შემოგვესიოსო, ან ორიდან, ან სამსავე ადგილიდან ერთადაო. თან იმის შიშიც

უნდა გვეკონდეს, რომ იმათი ჯარი, უმჯველია, ჩვენზე ძლიერი იქნებაო. ამ მოსაზრებით გურული რაზმი მუხრან-ბატონმა ისე გაანაწილა, რომ სამეგრელოს შუა-გულში, სოფ. სორტაში, უნდა მდგარიყო მთავარი რეზერვი, რომელიც, საჭიროების დროს, ან ერთს შეეშველებოდა ან მეორეს, ან ორსავეს ერთად, ან, თუ მტერი სორტას დაესხმოდა თავს, მაშინ ორგანვე დაეყენებულს ჯარს გარს შემოიკრებდა და ისე მიეგებებოდა მტერს.

მუხრან-ბატონის რჩევით, დედოფალი ჯარის მთავარ ბანაკის მახლობლად დაბინავდა, სოფელ ქვაშსორში, ერთის თავის ნათესავის, კენინა მარიამ ნიკოლოზ დადიანის ასულის შარვაშიძის, სახლში. ჯარი მდ. ტეხურის პირას იყო დაბანაკებული, სოფ. სორტაზე მიკრულ მინდორზე, დედოფლის ბინიდან სამს ვერსზე. თვით ბანაკს "სორტიანი" დაარქვეს, სიტყვების "სორტა" და მუხრან-ბატონის სახელ "იონანეს" ერთად შესაბამისიდან.

დედოფალი ხშირად მოდიოდა ჯარის ბანაკში, იმასთანაც მოდიოდნენ ბანაკიდან სტუმრად. დედოფალს, რა თქმა უნდა, არა სჭიროდა სხვისი სწავლება და მისს სტუმართ-მოყვარეობას და ყველასთან ალერსიანს ქცევას საზღვარი არ ჰქონდა.

ამ შემთხვევაში დედოფალს განსაკუთრებით ეხმარებოდა მისი და, გრიბოედოვის ქვრივი ნინო. ჩვენ არ შესევგიდია ორიოდე სიტყვა არა ვთქვათ რუსეთის გამოჩენილ მწერლის მეუღლეს შესახებ, მით უფრო, რომ არსად-რა წაგვიკითხავს ამ შესანიშნავი და მეტისმეტად ძვირფასი ადამიანის შესახებ.

ნინო გრიბოედოვისა მეტისმეტი ტანალი იყო, შავგრემანი. ქმარს თხუტმეტი წლისა მისთხოვდა, როცა მისი მშვენიერება სახსებით არ იყო გაშლილი. გრიბოედოვს უზომოდ უყვარდა თავისი ახალგაზრდა ცოლი, რომელსაც "მურილიოს მადონას" ეძახდა. ამ საყვარელს არსებას ქმარი ისე უყურებდა, როგორც ბავშვს, და ამბობდა: ჩემი ვალია, რაც აღზრდა დააკლდა, მე შევეუსრულოყო. როგორც მისი დაახლოებული ნაცნობები, და მათ შორის პა. კარატივინი, ამბობენ, გრიბოედოვი მეტად ნიჭიერი და განსწავლული კაცი იყო; პოეტიც იყო, და მშვენიერი მემუსიკეცა, ზედმიწევნით იცოდა რამდენიმე ევროპული ენა, სწავლა მიიღო აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე და, ყველა ამას გარდა, მეტისმეტი სიმპატიური კაცი იყო. თუმცა წლის მეტი არ დასცალდებია თავის საყვარელ არსებასთან სიცოცხლით დამტკბარიყო, მაგრამ ამ მოკლე ხნის ცხოვრებითაც დაუვიწყარი შეიქმნა ნინოსათვის, ისე ღრმად ჩაებტეღნ მისს კეთილს

გულს ამ დიდის მასწავლებლის ღირსებანი. როცა გრიბოედოვი თეირანში წავიდა, სადაც უდროოდ მოჰკვდა კიდევაც მტრის ხელისაგან, ხუთის თვის ორსული მეუღლე თავის ომში დასტოვა. იქ ნინოს დაახლოებული ნაცნობები იყვნენ ინგლისის ელჩის ოჯახის წევრნი, მისი ცოლი და ქალები; გარდა ამათი, მასთან სტუმრად იყო ერთი მისი ნათესავთაგანი, თავადი რომან ჭავჭავაძე, რომელიც მამამ გამოუგზავნა თვალისჩინივით. როცა ამბავი მოუვიდა, გრიბოედოვი თეირანში მოჰკლესო, ცოლს ეს ამბავი არ გაუმჟღავნეს; მხოლოდ უთხრეს, ქმარს წერილის მოწერის დრო არა ჰქონდა, ძალიან ბევრი საქმეები აქვსო, შემოგიტოვალათ, აქ დიდხანს დაეწები, და ამიტომ ტფილისში დედასთან დაბრუნდი და იქ უცადე ჩემს დაბრუნებასო. დიდი მოხერხება იყო საჭირო, რომ მისგან ნამდვილი ამბავი დაეძალნათ; გულმა უგრძნო, რადაც არასასიკეთოს მიმალავყო, მაგრამ ამ დროს მამისაგან, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძისაგანაც, რომელიც მაშინ სომხეთის ოლქის მმართველად იყო, მოუვიდა წერილი, ისიც იმასვე სწერდა და ატყობინებდა, შენს მისაგებებლად ჯულფაში წამოვედი და გელიო. ნინოც დასთანხმდა და მშვიდობით ჩამოვიდა ტფილისში. მაგრამ ტფილისში უფრო გაუჭირდათ მისთვის ქმრის სიკვდილი დაეძალათ: ამდენი დრო გადის და ქმარი მაინც წერილს არ მწერსო, მერე ისეთი ქმარი, რომელსაც გაგიჟებთ ვუყვარვარო. თან და თან ემატებოდა ეჭვი და, ბოლოს, სრულით შემთხვევით გაიგო ყველაფერი. ერთხელ მასთან გრაფ პასკუვიჩის მეუღლე, გრიბოედოვის ბიძაშვილი, მოვიდა სტუმრად სწორედ იმ დროს, როცა ნინოს დედა სადღაც იყო გასული. დედაპარაკის დროს წამოსცდა გრიბოედოვის თავდადასავალი და, რაკი ერთი წამოსცდა, იძულებული გახდა ყველაფერი ემაზნა. ნინოს საშინელი ისტერიკა დაეძარათა და მეორე დღეს ხუთი თვის ბავშვი დაეზადა. ამგვარად დაჰკარგა ქმარიცა და შვილიცა. თექვსმეტის წლის ქვრივისათვის ყოველი ნუგეში დაიკარგა და გადასწყვიტა თავის საყვარელ ქმრისათვის არ ელაღატნა და სიკვდილამდე მისი ერთგული ყოფილიყო. მართლაც, ქმრის სიკვდილის შემდეგ 30 წელი იცოცხლა და მეორედ გათხოვება არც კი უფიქრია. ბევრს ნაქებს და გაავიწყობთ შეყვარებულს საქმროს უნდოდა მისი შერთვა, მაგრამ იმან მაინც არ უღალატა თავის აღთქმას და ქვრივად დარჩა. გრიბოედოვის გვაში ნინომ ტფილისში მოახვეწა და მთაწმინდის ეკლესიაში დაასაფლავა. ამაზე დიდებული ადგილის მოძებნა არ შეიძლებოდა რუსების უკვდავ მწერლის საფლავად.

ზვიად გამსახურდიას სულიერი მოძვარი მეუფე ამბროსი, მოკლულია



მეუფის უფროსი ვაჟი - მამა ნოდარი (ქათამაძე) ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს და არაფერს ამბობს, მაგრამ როგორც ცნობილი გახდა, აწ განსვენებულ მეუფე ამბროსისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის რიგ მღვდელმთავრებს შორის, 14 ოქტომბერს, მცხეთობას, სვეტიცხოველში დიდი შეხლა-შემოხლა მომხდარა... მეუფე ამბროსის მღვდელმთავრებისათვის, თურმე, უთქვამს, - გუდას თორე არ მომასხნეინო, - თორემ, ჩემს მოსაკლავად ფულს რომ აგროვებთ, ეგეც ვიცით... ამ ინციდენტის შემდეგ დიდი

ხანი არ გასულა და...
2008 წლის 26 ნოემბერს მეუფე ამბროსი (ქათამაძე) თავის საცხოვრებელ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს...
მამა ნოდარი - მეუფის ვაჟი - საზოგადოებას წარუდგინა გარდაცვლილი მეუფე ამბროსის ერთი საინტერესო ფოტო, რომელიც ტელეფონით იყო გადაღებული... ფოტოზე ყურადღებას იპყრობს მეუფის ქვედა ტუჩის შუა ნაწილი, რომელზეც სისხლჩაქცევის კვალი აშკარად შეინიშნება და იცით, როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს? თითქოს ამ კაცმა ეს-ეს არის სიმწრით ტუჩი მოიკნეტაო...
ვინ იცის, რა განსაცდელი შეამთხვიეს, რომელი სამსალა შეასვეს, ან როგორი საშინელი ტკივილით გამოასალაძეს სიცოცხლეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის მოძღვარი პაჭანიკებმა და დედაეკლესიის დაუძინებელმა მტრებმა?! განა, ცხონებული ზვიად გამსახურდიაც მუცლის საშინელ ტკივილებს არ უჩიოდა სიკვდილამდე და პირადი დაცვის უერთფულს ბიჭებს, რომლებიც, ფაქტობრივად, სამარეში ჩაჰყენენ მე-20 და 21-ე საუკუნის საქართველოს ბედისწერას, განა არ ეუბნებოდა პრეზიდენტი, - ბიჭებო, მგონია მოწამლეს, მე თუ რამე დამემართება, არ დაიბნეთ, არ შეშინდეთ, აქვე დამარხეთ, ხოლო თქვენ თავს უშველეთ, თავი გადაირჩინეთო?...
ამ წვევლა-კრულვიან საქმეში ცნობილი ფაქტია ისიც, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მეუფე ამბროსიმ თავის ერთ-ერთ

უახლოეს მეგობარს პირდაპირ უთხრა, - **მემუქრებიან! თუ არ განუშვებები, შვილს მოგიკლავთ და გაგაჩუქებთო!**
ერთი სიტყვით, ჯერი გამოძიებაზეა, რომელმაც სიმართლე უნდა დაადგინოს და გამოიკვლიოს, როგორ აღმოჩნდა მეუფის სისხლში ნახშირორქანის 67-პროცენტული კონცენტრაცია; რაც შეეხება საქართველოს სამოციქულო ეკლესიასა და მის წილში დავანებული იმ ქვაბავაზაკების ზიმზიმს, რომლებიც მეუფე ამბროსის თქმით, ადამიანის მოსაკლავად ფულს აგროვებდნენ, ვიტყვით იმას, რომ ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის აუხდენელ ოცნებად იქცა **“ახალი რუს-ურბნისის საეკლესიო კრებას”**
1103 წელს მამათმავალი მღვდლები ეკლესიებიდან რომ გამოიკვლია და ბილწი სასულიერო მოღვაწეები გაკრიჭა, ჩვენმა წმიდა მეფემ - დავით აღმაშენებელმა - სწორედ ამის შემდეგ ჰქმნა “ძღუვი საკვირველი” და მოგო დიდგორის ომი!...
18 წელი მონადრომა ამ საქმეს დავითმა...
18 წელია იტანჯება საქართველო...
მიუხედავად იმისა, რომ მამა ნოდარი თავს არიდებდა პრესასთან შეხვედრას, მაინც შესაძლებელი გახდა მისგან ინტერვიუს სახით გარკვეული ინფორმაციის მიღება:
მამა ნოდარი:
იმ დღეს, 26 ნოემბერს, როცა მამა ჩემი - მეუფე ამბროსი - გარდაიცვალა, მე და მამა ერთად

უნდა წავსულიყავით ქუთაისში. ვურეკავდი, მაგრამ ჩემს ზარებს არ პასუხობდა... მე ამას მიჩვეული ვიყავი მისგან, რადგან როცა თავადაზნაურთა საკრებულოში იყო ან ლოცულობდა, მამას ტელეფონზე ლაპარაკი უზრდველობად მიანდა და ამდენად, მისი დუმილიც ბუნებრივ ამბად მივიღე.
- **ეს იყო 26 ნოემბრის დილა, ხომ?**
- დიახ, 26 ნოემბერს იყო ოთხშაბათი, ხოლო მამაჩემს მე დავცილდი სამშაბათ საღამოს, დამის 12 საათზე და შინ მივიყვანე... მამაჩემი 26 ნოემბერს დილით არის გარდაცვლილი, რადგან უკვე დილიდანვე არ პასუხობდა ჩემს ზარებს... 27 ნოემბერს, დაახლოებით, დღის პირველ ან ორ საათზე, მამაჩემი გარდაცვლილი ვნახე...
- **მეუფე შინ მარტო იყო?**
- კი, მარტო იყო!...
- **ექსპერტიზა რას ამბობს?..**
- ექსპერტიზა ამბობს, რომ მეუფე გარდაცვლილია მოწამლვით, რაც განპირობებულია იმით, რომ მის სისხლში აღმოჩენილია ნახშირორქანის 67-პროცენტული კონცენტრაცია... შინ ჩემი სიმამრი შევიდა პირველი, მეც შევედი, დავათვალიერეთ ყველაფერი... აბაზანაში გაზის გამათბობელი არ არის. მე **“კარმი”** მაქვს სახლში და სულ მეჩხუბებოდა მაგის გამო, - ბავშვები და თავიუ არ გიყვარსო?! საერთოდ, მამაჩემი გაზის წინააღმდეგ იყო... მაგას საწოლში ჰქონდა დენის გამათბობელი, ეგ იყო და ეგ... კაჟით კაცი იყო,

ჯანმრთელი. სიცოცხლე რა იყო, არ იცოდა...
- **ესე იგი, მეუფეს შინ გაზის გამათბობელი ნამდვილად არ ჰქონდა?**
- არ ჰქონდა!...
- **მეუფე ცალკე ცხოვრობდა?**
- დიახ, ამბროსიას ქუჩაზე ცხოვრობდა ერთოთახიან “ხრუშჩოვკაში”.
- **მამა ნოდარი, სად არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე?**
- საქმე თავიდან აღიდრა საბურთალოს პროკურატურაში, მაგრამ გარემოებიდან გამომდინარე, ქალაქის პროკურატურამ მოითხოვა ეს საქმე, რომელიც 108-ე მუხლით დააკვალიფიცირეს...
- **ანუ?**
- ანუ საქმე აღძრულია გაზრახ მკვლელობის მუხლით!...
- **თქვენი აზრით, რა მოხდა, როგორ ადგენილია მამათქვენი - მეუფე ამბროსი?**
- მოწამლულია!...
- **მოწამლეს და მერე მიცვალებული შინ მიიტანეს?**
- არ ვიცი... შეიძლება... ახლა ტელეფონის ზარებს ამოიღებენ, ვნახოთ რა იქნება!...
- **რამდენ ხანში შეიძლება მოეფინოს ამ საქმეს ნათელი?**
- არ ვიცი... ღმერთმა მშვიდობა ქმნას... მაგრამ არა მგონია, ამ საქმეს ოდესმე ნათელი მოეფინოს...
- **რატომ?**
- იმიტომ, რომ გამოძიება იქამდე მივა, რასაც ნათელი არ მოეფინება. ნათელია ერთი - მამაჩემმა ბევრი რამ იცოდა და სწორედ ეს არ აპატიეს...

ქმობა გადაარჩება

მასხენდება აფხაზი მწერლის მიხეილ ლაკერბაის ერთ-ერთი ნოველის ნიშანდობლივი ეპიზოდი: ორი ძმა უბრად იყვნენ ერთმანეთის მიმართ და ემტერებოდნენ კიდევ ერთმანეთს. ერთმა მათგანმა გადაწყვიტა, რომ მეგობრები და ახლობლები გამოეცადა. დაიარა ყველანი და შესწირა: კაცი შემოაკვდა და დამძლეოთ. არავინ შეიფარა იგი. ბოლოს ძმას მიადგა იგივე თხოვნით.
- ნუ გეშინია, ჩემთან ვერაინ მოგაგნებს. საბძელში დაგმალავ, საჭმელს და სასმელს არ მოგაკლებ! - ამ სიტყვებით ანუგეშა მის მიერ მტრად მიჩნეულმა ძმამ.
აფხაზეთის ომის დღეებში აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობაში მსგავსი ფაქტები მრავლად დაფიქსირდა. საუბედუროდ, სისხლი რვაღურად დაიღვარა, მაგრამ მაღალი ზნეობის ადამიანებმა ეს მაღალი ზნეობა მაინც შეინარჩუნეს.
მასხენდება აფხაზეთი, ჩემი სოფელი ოთხარა, ჩემი ახანდარელი მეგობრები... საერთოდ, აფხაზი მეგობრები არ დამეწყებია, არცერთი აფხაზი ოჯახი, რომლის ფაცხაში დიდი სტუმართმოყვარეობით ტაბლასზე დაგებულ დომი, ყველი და ღვინო - არომატული იზაბელა მიმიღია. ტკბილი, ძალიან ტკბილი მოგონებებია ეს.
ალბათ, ასეთი განცდა აქვს აფხაზეთიდან გამოსულ ყველა ქართველს, რადგან, მიუხედავად მომხდარისა, აფხაზთა მიმართ მაინც სიკეთე ამოძრავებს მას.
იცის ქართველობამ, რა მდგომარეობაშიც დღეს აფხაზობა იმყოფება. რამდენი თანამოგვარე, თანამომე და ნათესავი აფხაზი ჰყავს ქართველს აფხაზეთში? და განა გასაკვირია, რომ, გული არ შეგტკიოდეს მათი მომავალი ბედის გამო?
ომის მიზეზების, მსვლელობის ანალიზისაგან თავს შევიკავებ. ეს ვრცელი თემაა და მრავალმხრივ სადავო. ერთი ვიტყვი მხოლოდ: ომი არ უნდოდა არც რიგით აფხაზს და არც რიგით ქართველს, ომი აფხაზეთში გამოიწვია საერთაშორისო გავლენის სფეროების

მორიგმა გადაწაფილებამ, ხოლო მისი მაპროვოცირებელი იყვნენ აფხაზეთში მყოფი ორივე ეროვნების, და მთლიანად საქართველოში მყოფი ეროვნულ ნიღბებს ამოფარებული სხვადასხვა ქვეყნის აგენტები. და ეს აგენტები, ინსტრუქციები მიღებული, აქეთ გვიწოდებდნენ აგენტებს იმათ, ვინც ქადაგებდა შემწვევარებლობას.
1992 წლის აგვისტოში მაინც დაიწყო ომი. მისი თავიდან აცილება, მთელი რიგი მიზეზების გამო, ვერც გონივრულად მოაზროვნე ქართველებმა და ვერც გონივრულად მოაზროვნე აფხაზებმა ვერ შეუძელით. ჩვენ იმასდა ვახერხებდით, რომ ამ საერთო უბედურების დროს, ამ საერთო ტრაგედიის დროს, როგორც შეგვეძლო, ერთმანეთს ვეხმარებოდით, ერთმანეთს უნარჩუნებდით სიცოცხლეს.
ყველა ის აფხაზი, ვინც თუნდაც ერთი ქართველის სიცოცხლე გადაარჩინა, გმირია და ყველა ის ქართველი, რომელმაც თუნდაც ერთი აფხაზის სიცოცხლე გადაარჩინა, ასევე გმირია.
ვისაც გახსოვთ, გაიხსენეთ, ჩემო ძმებო და დეგო აფხაზებო, რამდენი მიგაციდეთ გუ-მისთვის ხიდაშე, გუდაუთამდე, რამდენი გადაგიყვანეთ კატარღებით, და პირადად მიგაციდეთ, რომ იტყვიან, იმ ავლადიდებით, რომლის წადებასაც ახერხებდით. მე ამით ჩემს ადამიანურ ვალდებულებას ვასრულებდი მხოლოდ. ჩვენც ყველანი გვახსოვხართ, ვინც თქვენი მხრიდან ამგვარ მაღალ ადამიანურ მოვალეობას ასრულებდა.
ღმერთის წინაშე დიდი მაღლია სიკეთის ქმნა!
ჩვენი ურთიერთდამოკიდებულებათა შედარება მაინც მინდა მოვახდინო დალის (კოდორის) ხეობის მაგალითზე.
დალის მიმართულებით, ვიცი, არა აფხაზთა სურვილით, მაგრამ მაინც რამდენჯერმე განხორციელდა შეტევა. მე გახლდით იქ ყველაზე კრიტიკულ მომენტში. მარტო 1993 წლის 27 ნოემბერს 2-ათასკაციანი შენაერთის შემოტევა გავიხსენებ. ჩვენ მოვიგერიეთ ეს შემოტევა. დალიდან კი არც ერთი ზიანი აფხაზური

დასახლებებისათვის არავის მიუყენებია. იქაური სვანები აქეთ მეუბნებოდნენ: ჩვენ და აფხაზები მხოლოდ მეზობლები კი არა, ნათესავებიც ვართ, მოყვრებიც ვართ და ნათესავებთან და მოყვრებთან ბრძოლას უნდა მოვერიდოთ, ჩვენ იარაღი იმიტომ ავიღეთ, რომ აფხაზეთში შემოსულ გადათითელებთან გვებრძოლო...
და ეს განწყობა ქართველობაში შენარჩუნებულია.
მაშ, ძმობა გადარჩება!
რა ვქნათ ახლა, ძმებო, აფხაზებო! ვიბრძოლოთ და თავი დავიღუპოთ, თუ შევრიგდეთ და ერთმანეთი გადავარჩინოთ, ჩვენი ეროვნულობა გადავარჩინოთ ამ გლობალიზაციის ეპოქაში?
თქმა არ უნდა, ბრძენი აფხაზი გავიგებებს - ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ!
მაგრამ როგორ?
როგორც ძმა იცავს ძმის ინტერესებს, ჩვენც ისე უნდა ვიმოქმედოთ, აძიტომ მშობლიური კერებიდან გამოძევებულნი თავის სამკვიდროს უნდა დაეუბრუნოთ, მათ ახლობელთა საფლავები ელოდებოთ, ზეცად ასული სულები ჩვენგან სამართალსა და ურთიერთმიტყუებას ელოდებიან.
მე მხარს ვუჭერ ყველა იმ ძალას, ვინც ქართველთა და აფხაზთა შერიგების რეალურ მიდგომას გამოძებნის და შემოგვთავაზებს გაწონასწორებული პოლიტიკის გატარებას: მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებთან ერთნაირი დონის თანამშრომლობას და ჩვენთვის უმთავრეს პრინციპს - ეროვნული ღირებულებების პროტექტულობის ხელმძღვანელობას.
მაშ, ვიდგავწოთ ერთად, ძმებო აფხაზებო, ეს პრინციპები ჩვენთვის ხომ საერთოა.
აბაძი ბასშიანი, სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია “ლევის” თავმჯდომარე, კავკასიის ხალხთა უზუცესთა საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი

რეკლამა

ჩვენი კომენტარები მიხეილ სააკაშვილის გამოსვლაზე საქართველოს პარლამენტში 2009 წლის 12 თებერვალს

“ეს იყო დამარცხებული და საშინელ დეპრესიაში ჩავარდნილი უიმედო კაცის გამოსვლა. მიხეილ სააკაშვილს შეიძლება გულით უნდა წასვლა, მაგრამ ამის საშუალებას ძალზე კორუპირებული და კრიმინალური გარემოცვა არ აძლევს ...”

“პარლამენტში პრეზიდენტ სააკაშვილის წლიური ანგარიში აშკარად არაადეკვატური იყო. იგი თავის გამოსვლაში არც ერთ მნიშვნელოვან საკითხს არ შეეხო, მაშინ, როცა სააკაშვილმა არც ისე დიდი ხნის წინ ორ რვეილზე კონტროლი დაკარგა და ამის შესახებ წლიურ ანგარიშში არაფერია ნათქვამი, ეს კიდევ ერთხელ ნიშნავს მის არაადეკვატურობას, ხოლო მისი ყველა პროექტი, უბრალოდ გაკორტრებულია. წლიური ანგარიშის შემდეგ გამართული დებატი კი ისეთივე იყო, როგორი ოპოზიციაც არის ...”

“პრეზიდენტს არც ერთ კონკრეტულ შეკითხვაზე არ გაუცია პასუხი. გზები და შეუქები იყო საბჭოთა კავშირის დროს, მაგრამ ეს ქვეყანა ხუხუდასავით დაინგრა, იმიტომ, რომ მაშინ, როგორც ახლა, ხალხს არ ჰქონდა სიტყვის თქმის უფლება. მხოლოდ თავისუფალ ხალხს შეუძლია ააშენოს ქვეყანა და აიძულოს ხელისუფლება განახორციელოს სისტემური ცვლილებები”.



ილორი

ხელილო ბაპრაკა, რაგონი ეპარკა

ამ ხელისუფლებას საკუთარი ხალხი

მწერალი გივი ჯახუა ერთ-ერთი იმ ჭეშმარიტ პატრიოტთაგანია, რომლებიც, მაღლობა უფალს, ჯერ კიდევ შემორჩნენ საქართველოს, მისი შემოქმედებითი საქმიანობა ორმოცდაათი წლის წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება. იგი საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირის წევრია, ხელმძღვანელობს ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაციას "რუსთაველს" და მის მერ დაფუძნებულ გაზეთ "სამშვილდეს".

– ბატონო გივი, მოდი, ინტერვიუ თქვენი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ საუბრით დავიწყოთ...

– ქვეყანაში იმდენი პრობლემაა, რომ დღეს ჩვენს შემოქმედებაზე ნუ ვისაუბრებთ.

ამ ხელისუფლებამ ყოველივე ეროვნული ჩაკლა, ხელმოკლება და კულტურა საბოლოოდ "ნარეცხა".

მწერლობა წინა საუკუნეში ჭეშმარიტად იყო ერის სულიერი წინამძღოლი. ახლა სხვა სიტუაციაა.

მე პირველ რიგში, ჟურნალისტი ვარ. თითქმის ორი ათეული წელიწადი ვიმუშავე საქართველოს ტელემაუწყებლობის რუსთავეის ზონის კორესპონდენტად. მერე იქაურობა დაარბიეს, გარეთ გამოგვყარეს. მაშინ გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკის" იმჟამინდელმა რედაქტორმა არმაზ სანგელიძემ თავისი ოჯახის კარი გამიღო. სამწუხაროდ, ჩვენი რედაქციაც გამოდევნა პრეზიდენტმა გამომცემლობა "სამშობლოდან". პოდა, ახლაც, ჩემი მოკრძალებული კალმით შეუპოვრად ვებრძვი სამშობლოს მოძულეებს. ვცდილობ, გავრკვეთ, თუ რატომ უჯავრება ამ ხელისუფლებას საკუთარი ხალხი. არადა, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გადაგვაჯიშონ და ფეხებიდან ამოგვიძრკონ, ქართული ჯიში და გენი წაშალონ.

– როგორ ფიქრობთ, რა არის ხელისუფლების მხრიდან ასეთი ქმედებების მიზეზი?

– რა არის იცით? ბევრად მნიშვნელოვანი პრობლემები კი აქვს ხელისუფლებას გადასაწყვეტი, თუნდაც ამხელა ტერიტორიები რომ დაგვაკარგვინა – სამხანაბლო, აფხაზეთი... მაგრამ, რატომღაც, არ უნდათ ქვეყნის შიგნით ეკონომიკური აღორძინება. არ სურთ ჩემი თათბის ადამიანების, პროფესიონალების დასაქმება. არადა, მართლაც უმადლესი დონის პროფესიონალები გვეყავს, რომლებიც საზღვარგარეთაც კი დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ. ამ მტავრობას ის უფრო აძლევს ხელს, რაც მეტი ადამიანი გვაგ საქართველოდან და ეს ქვეყანა ადვილი სამართავი გახდება.

– მოდი, იმ პრობლემებზე ვისაუბროთ, რაც დღეს ხელოვან ხალხს ექმნება საქართველოში. თქვენ მწერალთა ეროვნული კავშირის წევრი ბრძანდებით, რომელსაც დღეს უკვე საკუთარ შენობაში აღარ უშვებენ...

– რაც შეეხება მწერალთა კავშირს. რაც ხდება, დიდი უსამართლობაა, ეს შენობა მწერლებს ანუქეს და მათი საკუთრებაა.

მაგრამ ამათ რომ წაგლიჯეს, ამაში გასაკვირი არაფერია, უკვე ვითხარით, ესენი დაუფარავად ებრძვიან ქართულ კულტურას, მწერლობას და საერთოდ, ყველაფერს ეროვნულს!

– და ბოლოს, რა მიგაჩნიათ ქვეყნის ყველაზე დიდი პრობლემა?

– პრობლემა და სატკივარი ერთი და ორი რომ გეკონდეს, რა გვიჭირს?

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ეს უწიგნური და უხერხემლო, საკუთარი ხალხის მოძულე ხელისუფლებაა. ქუჩიდან მოსული ბიჭები ჩაებლაუჭენ ქვეყნის სადავებს. მაგალითად, ეკონომიკის მინისტრს ქვეყნის მრეწველობაზე წარმოადგენა არა არქებს. სოფლის მეურნეობის მინისტრი ახლა სწავლობს ანაბანას და ახალი ველოსიპედის გამოკონებას აპირებს. არადა, ამ დალოცვილ მიწაზე კაცი რატომ უნდა შიმშილობდეს? არაკომპეტენტურობა ერთია, მაგრამ ის, რომ საკუთარი ხალხი სძულთ, უჯავრებათ და დაგვეცინიან, ამაზე მეტი უბედურება რა უნდა იყოს? მაგრამ ყველაზე მთავარ უბედურებად მაინც დემოგრაფიული პრობლემა მიმაჩნია. ქართველი ერი კატასტროფის წინაშეა. ამის შესახებ არაერთხელ დავწერე გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც დემოგრაფიული მოძრაობა აღხედა, რუსთაველი, სადაც მე ვცხოვრობ, დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარეც ვიყავი. თავიდან ორასამდე მრავალშვილიანი დედა გავაწვევრიანეთ. მაშინ ქალაქს ჯერ კიდევ კომუნისტური ხელმძღვანელობა ჰყავდა და მხარში გვედგა. ორ-სამ წელიწადში მრავალშვილიანთა რიცხვმა ხუთასს გადააჭარბა.

1989 წლის აღწერით, საქართველოში 3 მლნ 664 ათასი ქართველი ცხოვრობდა, დღეს ქვეყნიდან ორ მილიონამდე ჩვენებურია გადახვეწილი, უმეტესობა საშოვარზე. მათ შორის, ჩემი ერთადერთი შვილიც...

არ შეიძლება ასე გაგრძელდეს. ყველამ უნდა გავითავისოთ სამშობლოს სატკივარი. ქვეყანა კატასტროფისგან უნდა გადავარჩინოთ, თორემ ხვალ გვიან, ძალზე გვიან იქნება.

ლელა არაბული

ახლანა ითარგმნა მეოცე საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწის პეტრე გელეიშვილის შესანიშნავი ნაშრომი "წითელი წიგნი", რომელიც უდავოდ დაინტერესებს ჩვენს მკითხველს. ამიტომ, ვიწყებთ მის ბეჭდვას გაზეთ "ილორი"ში.

სადავო არ არის ის ამბავი, რომ ამა თუ იმ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ საკითხზე რამდენიმე ათეული ადამიანის ურთიერთდენტური შეხედულება საზოგადოებრივი აზრი გახლავთ. ხოლო საზოგადოებრივი აზრი, რომელიც რომელიმე ქვეყანაში ათწლეულებისა და საუკუნეების მანძილზე არ იცვლება, ამ ქვეყნის ეროვნული იდეად იქცევა ხოლმე. მაგრამ, არც ის სენტენცია გახლავთ სადავო, რომ პოლიტიკურად, გეოგრაფიულად, თუ გეოპოლიტიკურად უსაფუძვლო ეროვნული იდეა ეროვნული ბოღვა უფროა, ვიდრე კლასიკური იდეოლოგიური პასაჟი.

სწორედ რომ ისტორიულ აგონიამდე მისული სომხური ეროვნული ბოღვა გახლავთ თითქოს და **"ზღვიდან ზღვამდე"** ადრე არსებული დიდი სომხეთის ადღვანის აშკარად უტოპიური იდეა, რადგან შავ და კასპიის ზღვებს შორის მოქცეული **"დიდი სომხეთი"** ისევე არასოდეს არსებულა, როგორც იგი ვერასოდეს იარსებებს მომავალში. ამ იდეის არსებობის მტკიცების კვალდაკვალ ხომ უნდა ვამტკიცოთ ისიც, რომ დედამიწის ზურგზე არასოდეს უცხოვრიათ და უღვაწიათ დიდ ისტორიკოსებს, მკვლევარებსა და შემოქმედებს პეროდოტეს, მომხენს, მასკუროს, ანუჩინს, ველინკოს, ილია ჭავჭავაძეს, ივანე ჯავახიშვილს და სხვებს, რომ ევრიპიდეს კალმით არ შექმნილა უკვდავი **"მედვა"**, პომპროსს არ გამოუძერწავს **"ოქროს საწმისი"**, ქართველები არ მიეკუთვნებიან კავკასიურ ტომებს და სხვა მრავალი ამდაგვარი უაზრობა, რაც სომხური ეროვნული იდეის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ყოველივე აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს დიდი რუსი პუბლიცისტის **ვასილ ველინკოს** მეცნიერული გამოკვლევით მიგნებულ ვერსიას იმის თაობაზე, რომ **სწორედ სომხები არ არიან კავკასიური წარმოშობის ხალხი** და ისინი ამ რეგიონში სამხრეთიდან შემოეთესლნენ, რაც იმითაც დასტურდება, რომ სომხებს დღესაც ვერ უპოვიათ თავიანთი მკვიდრი ადგილი მსოფლიოს ამ უღამაზესი და მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე მხარის გეოპოლიტიკურ სივრცეში. სომხების საქციელი იგივეა, კინოთეატრში უბილეთოდ შეპარული მაყურებელი ერთ-ერთი ბილეთიანი პერსონის საგრობლის დაპატრონებას რომ ცდილობს, რომელიც მას თითქოსდა ისევე ეკუთვნის, როგორც მის უფლებამოსილ პატრონს. სწორედ **ვასილ ველინკომ** დაუსვა სომხებს უტყუარი ფსიქოლოგიური დიაგნოზი, როცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **"ცუდი აზრი სომხებზე დასაბამიდან ჩამოყალიბდა და ეს საკმაოდ საფუძვლიანი, შეუმცდარი აზრი გახლავთ. იგი არ შეიძლება და სხვაგვარი ყოფილიყო, რადგან ეს აზრი ყველა ერის შემეცნებაში აბსოლუტურად ერთნაირად, თანაც ისტორიულად სხვადასხვა დროს ჩამოყალიბდა"** ("კავკასია", თბილისი, 2007 წ. გვ. 69). ხოლო პუმიანური და მაღალზნობრივი ტაციტუსი, რომელსაც შეეძლო თვით რომის იმპერიის დაუძინებელი მტრების, გერმანელების ქება-დიდებაც კი, თავისი წიგნის "Ad Excessu Augusti"-ის 53-ე პარაგრაფში წერდა: **"სომხები დასაბამიდან ორსახოვანი ხალხი არიან, როგორც ხასიათით, ისე გეოგრაფიული მდებარეობით"**.

სწორედ ამ სიტყვების დასტური გახლავთ ის, რომ სომხები გაუთავებლად ედავებიან მეზობელ სახელმწიფოებს (თურქეთს, რუსეთს, საქართველოს, აზერბაიჯანს) ტერიტორიებს, უხნოდ ცდილობენ მათი კულტურის მიტაცებას, ბოლო დროს კი სომხეთა თავხედობა იქამდე მივიდა, რომ სომხეთსა და სომხებს ცილიდელი და გერმანელი ხალხების ოინაპრად და მათი უმდიდრესი ცივილიზაციის აკვნად აცხადებენ.

ეს სომხეთა ბავშვური ანცობა არ გახლავთ, ეს მათი ბოროტი ანგარებითი გენის კარნახია, რომლის წყალობითაც სომხეთა ლიდერებმა არაერთხელ დააყენეს საკუთარი ხალხი განადგურების საშიშროების წინაშე. ამიტომ არის ვალდებული მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა, რომ ერთიანი აზრი

დაუპირისპიროს იმ უკულტურო და დაბალინტელექტუალური სომხების ბოღვას, რთაც მათ ღამის მთელი მსოფლიო გააბეზრეს და ყველას შეაძულეს თავი.

ფაქტია ისიც, რომ რუსეთის მონურ მორჩილებაში მყოფი სომხეთი დღეს, ამ ჯერ კიდევ უკიდევანო იმპერიის უკანასკნელ ფორპოსტს წარმოადგენს ამიერკავკასიაში. რუსებს არასოდეს დაუღვრიათ მათი შავბნელი საქმეების მუდმივი მოკავშირე და ხელშემწყობი სომხების სისხლი. პირიქით, ყოველნაირად ახალისებდნენ სომხებს კავკასიაშიც და რუსეთის უკიდევანო იმპერიაშიც. აძლევდნენ მათ დიდი ფულის გაკეთების საშუალებას, რაც შემდეგ "დიდი სომხეთის" ადღვანის უტოპიური იდეის ხორცშესხმას ხმარდებოდა.

მოუჩინელი ავღაყოფის გოღვა, ანუ დიდი სომხეთის ილია ვანიკაური პოპიაანდა

სწორედ რუსეთის ძალისხმევით იქცა სომხეთი კავკასიის "მეხუთე კოლონად", სადაც იგი დიად თუ ფარულად ემსახურება მასონთა ბინძური ინტერესებს. მათაც დაუფასეს სამსახური თავიანთ ლაქიებს და დიდი სისხლის ფასად წართვეს აზერბაიჯანს მთიანი ყარაბაღის მხარე, რათა იგი შემდეგ სომხებისათვის გადაეცათ. სომხები დიდ ხანს ფიქრობდნენ, საით მიემართათ საკუთარი ბინძური ზრახვების სარეალიზაციოდ იარადი – აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღისკენ, თუ საქართველოს ჯავახეთისკენ, სადაც ქართველებმა თურქეთიდან გამოქცეული ლტოლვილი სომხები მივიღოთ მეგობრულად და იქ კომპაქტურად ჩავასხლეთ. მაგრამ სომხებმა კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს მტრად გადაკიდებოთ ისინი გეოგრაფიულად აბსოლუტურად მოწყობდნენ ცივილიზებულ სამყაროს და სრულ იზოლაციაში აღმოჩნდებოდნენ. ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ აზერბაიჯანისათვის წაერთმიათ მთიანი ყარაბაღის მხარე. სომხები იარადი ვერ გვედავებოდა საქართველოს ისტორიულ კუთხეს – ჯავახეთს, პირში მძობასა და მეგობრობას გვეფიცებოდა, მაგრამ მსოფლიო პრესის შემწევობით მაინც გვიშენეს შხამიან ისრებს და ჯავახეთს ხან მთერე სომხეთად, ხან კი სომხეთის გულად მოისხენიებენ.

აბა, მეტ სიფილდეს, ვერავობას, გაიძვერობასა და ორსახოვნებას მართლა სად შეიძლება წააწყდეს ადამიანი!

რაც შეეხება მაღალ ზნეობასა და პოლიტიკურ მორალს, სომხები ამ მხრივ არც არასოდეს ეკუთვნოდნენ მსოფლიო ცივილიზაციის სამყაროს. სომხები დღეს დაღად გრძნობენ თავს თავიანთი მიდონინური ამერიკელი თანამემამულეების პროტექტორატის წყალობით და ერთი წამითაც არ უფიქრდებიან იმას, თუ სხვა კავკასიელ და მათ მეზობელ არაკავკასიელ ერებს რაოდენ დიდი სიძულვილი და ბოღმა აქვთ დაგროვილი მათ მიმართ. სამწუხაროდ, მარტო ამერიკელები როლი აქვსებენ სომხებს სხვა ერების წინააღმდეგ. განა სომხების წაქეზებასა და დანაშაულებრივ მხარდაჭერას არ ნიშნავს ზოგი ევროპული ქვეყნის მიერ სომხეთა დანაშაულებრივი ქმედებებისადმი ზურგით დგომა და ობიექტური შეფასებებისადმი თავშეკავება?

საკუთარი დამსახურებების უსაფუძვლოდ განდიდება და სხვა ერების წარუღლისა თუ დღევანდელი დანკინება სომხს ერში მასიური ფსიქოზად ქცეული ის დაავადებაა, რომელსაც ხანგრძლივი და სერიოზული მკურნალობა სჭირდება, რადგან, თუ ზოგიერთმა ერმა სომხეთა წრესგადასული პრეტენზიები დიმილით მიიღო და ერთი ყურადღან მთორემე შეუშვა ყოველგვარი ემოციის გარეშე, სხვა, უფრო თავმოყვარე ერისათვის იგი შეიძლება აღშოთების მიზეზად იქცეს, რისი ტრაგიკული შედეგი არაერთხელ მოუქცია თავიანთი იდეოლოგიების ბინ-

ძურ შანტაჟს წამოგებულ სრულიად უღანაშაულო, წესიერ და ისტორიულად შრომისმოყვარე სომხს ერს.

აი, რატომ ჭირდებათ სერიოზული მკურნალობა ჭეშმარიტებასთან მუდამ ზურგმებრუნებულად მღვარ აღვირახრილ სომხს იდეოლოგიებს და მათ მხარდამჭერ და წამქეზებელ ამერიკელებს, ფრანგებს, იტალიელებს, გერმანელ-ინგლისელებს.

ჩვეულებრივი სომხური სიბინძურთა და ინსინუაციებით გაჯერებული "წითელი წიგნი" 1920 წელს რუსულ ენაზე გამოიცა და სომხებმა იგი მაშინვე თარგმნეს რამდენიმე ენაზე და გაავრცელეს ევროპაში. მაგრამ, მისი რუსული ან სომხური წიგნად ნაბეჭდი ვერსია არავის უნახავს. ფაქტია, რომ სომხებმა ნაწარმოები სპეციალურად შექმნეს სომხურ ენაზე და ევროპის წამყვან ქვეყნებთან ქართველებისა და თურქების დასასმენად თარგმნეს. რამდენიმე ექსემპლარი რუსულენოვანი წიგნი საიმედოდ გადაამალეს და შემდეგ ევროპის უმტკიცებდნენ – ხედავთ, წიგნი გამოვეცით და მასში მოყვანილი ბრალდებები სიმართლეს რომ შეეფერება, ქართველებმა ამიტომ ვერ გაგვეცეს პასუხი და თავის მართლბა არც კი უცდიდათ. ქართველებმა კი მაშინ საერთოდ არაფერი იცოდნენ ამ წიგნის რუსულ ენაზე გამოცემის თაობაზე, მაგრამ, როგორც კი მისი ინგლისური ვერსიის თაობაზე შეიტყვეს, დემოკრატიული საქართველოს პარლამენტის წევრმა ბატონმა პეტრე გელეიშვილმა, რომელსაც ქართველი მკითხველი უფრო "ყარბის" ფსევდონიმით იცნობს, რუსულ ენაზე საკადრისი პასუხი გასცა სომხს ცილისმწამებლებს. სამწუხაროა, რომ აღნიშნული საკითხი დღესაც უაღრესად აქტუალურია, რადგან სომხები ვერა და ვერ გამოვიდნენ ისტორიულად მათი პატრონი და გარე მტრების შემოსევებით განადგურებისაგან მსხველი ქართველებს დაძვირებისა და მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე საკუთარი "დამსახურებების" განდიდებას მანიაკალური მდგომარეობიდან. ამიტომაც ვთავაზობთ მკითხველს "ყარბის" წიგნის თარგმანს ქართულ ენაზე, რომლის წაკითხვის შემდეგ ქართველი ადამიანი კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ საზღვარი არა აქვს სომხეთა ლიდერების თავხედობას, რასაც მწერე მოსაუფლად იქიდა ხოლმე, ხშირად სრულიად უღანაშაულო მშვიდობიანი სომხური მოსახლეობა.

რაც შეეხება სომხებისაგან ქართველთა ძაგებას, თავად განსაჯეთ – რუსი პუბლიცისტის ვასილ ველინკოს წიგნი "კავკასია", რომელშიც ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობილი მასალებითა და კონკრეტული ფაქტებითა და გამოიდველური ბუნება, ქართველებმა შეაფასეს არა ავტორის მიერ მოწოდებული ობიექტური შეხედულებები, არამედ, როგორც რუსული იმპერიალიზმის მორიგი შემოტევა და სომხს და ქართველ ერებს შორის შუღლის ჩამოგდების ეშმაკური გეგმა. მაშინ, ვასილ ველინკომ არც მთლად როყოფდ ისროლა საკმაოდ ვერავალი, ვითომ ქართული საომარი ღოზუნგი **"საქართველო ქართველებისათვის"**, რასაც დღესაც ურცხვად იმეორებენ სომხები ვაიპოლიტიკოსები. თავად განსაზღვრეთ, რომელი უფრო მართებული ღოზუნგია: **"საქართველო ქართველებისათვის"**, სადაც უზრუნველად ცხოვრობს ექსასია ათასამდე სომხი და ხუთასი ათასამდე აზერბაიჯანელი, თუ **"სომხეთი სომხებისათვის"**, სადაც მსოფლოდ რამდენიმე ქართული ოჯახი ცხოვრობს და სომხები ყველაფერს აკეთებენ მათი იქიდან გამოსაძევებლად, აზერბაიჯანელს კი სომხეთში ხომ საერთოდ ვერ იპოვნი.

სწორედ წრესგადასული ეროვნულ-ზნეობრივი და ცრუ გეოპოლიტიკური ამბიცია გახლავთ სომხების მოურჩენელი ავადმყოფობა. მათ დროზე უნდა მიხედონ ამ მძიმე დაავადებას, რადგან არ უნდა დაივიწყონ, რომ ყოველი მოურჩენელი სენის მიღმა უუკველი სიკვდილი არის ჩასაფრებული.

(გაგრძელება იქნება)

საინფორმაციო ტექნოლოგიები

მოსკოვი მაღლობას
გვიხდის

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართულ მხარეს საქართველოდან რუსეთში ე.წ. "დუხობორების" რეპატრაციის საკითხში გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდის.
რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2008 წლის დეკემბერში საქართველოდან რუსეთში 63 დუხობორი გადასახლდა. სამინისტროს ინფორმაციით, მხარეებს შორის არაფორმალური შეთანხმებით, თბილისში დეკემბერში რუსული სამუშაო ჯგუფი იმყოფებოდა, რომლის წევრებსაც ქართული მხარე რეპატრაციის პრაქტიკული საკითხების მოგვარებაში დაეხმარა.
დუხობორები რუსეთში სომხეთის გავლით გაემგზავრნენ.

მსჯავრდებულები
ბაშსაქლისი პირობების
ბამო სიას დახმარებას
სთხოვენ

მსჯავრდებულები საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სასჯელადსრულელების სპეციალურ დაწესებულებებში არსებული გაუსაძლისი პირობების გამო სასწრაფო დახმარებასა და თანადგომას ითხოვენ. აღნიშნულ საჭიროებოთო საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში, ამას წინათ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ თამარ ხიდაშელმა სპეციალური ბრიფინგი გამართა. როგორც ცნობილია, ამ ორგანიზაციას სასჯელადსრულელების დეპარტამენტის №7

საპრობლემადა წერილობით 34 მსჯავრდებულმა მიმართა.
განცხადებაზე ხელმოწერით მსჯავრდებულები ერთხმად ადასტურებდნენ სასჯელადსრულელების დაწესებულებაში არსებულ გაუსაძლის პირობებს, რაც მათივე თქმით, დაწესებულების ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებაში, მძიმე სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებში და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფაში გამოიხატებოდა.
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ აღნიშნულ დაწესებულებაში ექსპერტები მიაგვინა და არსებული მდგომარეობა ადგილზევე შეისწავლა. მათი განცხადებით დადასტურდა, რომ გაუსაძლის პირობებთან დაკავშირებით მსჯავრდებულების მიერ მოწოდებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება.

იუმორი

ორი გურული შესვდა ერთმანეთს.
– რაფერ ხარ, ძამა? – ჰკითხა ერთმა.
– გადასარევე! შენ რაფერ ხარ?
– მე გადავირიე უკვე!

ბენზინის ჩასასხმელთან მიდი მანქანა.
– უნდა გაგაფრთხილო, რომ დღეიდან ჩვენთან საწვავი გაძვირდა! – აფრთხილებს მძღოლს ბენზინის ჩამსხმელი.
– კეთილი, მაშინ გუშინდელი ფასით ჩამისხი 50 ლიტრი!

სკოლაში მასწავლებელი მოსწავლეს აფრთხილებს:
– თამაზ, იმედია დღეს აღარ დავინახავ, თუ როგორ იქვე საკონტროლო დაგაულებას შემე ამხანაგისაგან!
– მეც მაგისი იმედი მაქვს, მასწ...

ის საინფორმაციო

განგსტერული რეალობა

ერთია კინოსურათი, მეორეა ცხოვრება. მით უფრო, როცა საქმე კრიმინალს ეხება, მაგრამ ყველაზე მძაფრი კინო მაშინ არის, როცა რეალობას ასახავს. ამიტომაც, ბევრი პოპულარული კინოგმირი რეალური განგსტერი იყო, თანაც სტილის კანონმდებლებადაც მოგვევლინენ. მაგალითად, ჰემფრი ბოგარტიმ მოკლე პალტო განგსტერების სამოსად აქცია. სიცილიურმა მაფიამ კი სერიოზულად დაინტერესა მოდის ინდუსტრია. კამორა – ნეაპოლში, საკრა კორონა უნიტა – აპულიაში და ნდრანგეტა – კალაბრიაში, კადრს მიღმა დარჩნენ. სამაგიეროდ, მაფიოზებში: სალვატორე ჯულიანო იტალიურ რობინ პუდად იქცა და რამდენჯერმე გახდა რეჟისორების მუზა. ამერიკაში ფესვები ყველაზე კარგად სიცილიურმა "კოზა ნოსტრაში" გაიდგა, სადაც მწერლის, მარინო პიუზოს, ყურადღება მიიპყრო და 1969 წელს დაიბადა რომანი დონ კორლეონეზე. ინტერვიუში მწერალმა აღიარა, რომ დონ კორლეონეში იტალიელი მაფიოზი სალვადორე ჯულიანო იგულისხმება. აღ პაჩინომ და მარლონ ბრანდომ კი ჯულიანო ლამის მამაკაცური სიძლიერის ხატად აქციეს. კინემატიოგრაფში საშუალოდ გაითქვა სახელი ჩიკაგოს ავტორიტეტულმა ბოსმა ფრენკ კოსტელომ. "ერთხელ ამერიკაში" კი, ცნობილი განგსტერის, მაიერ ლანსკის, გამო გადაიდეს, რომელიც სახელგანთქმული ბანდის "მარდეს ინის" ბოსი იყო. ცნობილია, რომ რობერტ დე ნირომ მასთან შეხვედრაც კი მითხროვა, რათა უკეთ "ჩამჯდარიყო" რომში, მაგრამ მკაცრი უარი მიიღო. მსახიობი იძულებული გახდა, მთავარი გმირის სახე რეალური ორიენტირის გარეშე შეექმნა. არავინ იცის, კმაყოფილი დარჩა თუ არა ბატონი მაიერ ლანსკი ეკრანული პროტოტიპით, მაგრამ ფაქტია, რომ დე ნირომ საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

არსებობს თუ არა
ტელეპათია?

აღბათ შეგინიშნავთ, რომ ზოგჯერ ახლობლების უსიტყვოდ გესმით, მათ ავადმყოფობას ასობით კილომეტრის სიშორიდანაც კი ვგრძნობთ, თუ დიდი ბედნიერება ეწვიათ, სხვა ქალაქშიც რომ იყოთ, თქვენც გული სიხარულით გვესებათ. ხშირად ვაგსხელებით ძველი ნაცნობი და მეორე დღეს შემთხვევით შეხვედრიხართ, ან გულში გაგივლიათ – ამა და ამ ადგილას მელიანო და თურმე მართლაც გელოდნენ. ამის გამო ამბობენ, ტანმა მიაზრა, გულმა მიგრძნო. რა შეიძლება დაერქვას ამ მოვლენას, ტელეპათია? ბევრი მეცნიერი აღიარებს ტელეპათიის არსებობას, ბევრიც უარყოფს. მართალია, ეს ცდებით ვერ მტკიცდება, მაგრამ ამის თაობაზე მოსაზრებები მაინც არსებობს.
ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ნებისმიერ ცოცხალ არსებას ან ნივთს გარდ აკრავს განსაკუთრებული ველი, რომელიც ნაკლებად არის შესწავლილი, თუმცა ცნობილია, რომ მათ შეუძლიათ გარკვეულ მანძილზე ინფორმაციის გადაცემა. როცა ადამიანი ფიქრობს, ტვინი გამოიმუშავებს სიგნალებს, რომლებიც სივრცეში ასხივებენ, ამიტომ მეორე ადამიანს შეუძლია მისი მიღება. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რას უკავშირდება ეს მოვლენა, თუმცა აესებობს ვერსია – ადამიანები ვიდრე ალაპარაკდებოდნენ, მანამ ამ სიგნალებით ურტიერთობდნენ ისევე, როგორც ახლა ცხოველები. შესაძლოა, ეს იყო დამცავი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ახლობლებს მოახლოებულ ხიფათს ვატყობინებთ.
ამგვარად, მეცნიერება ცნობს თუ არა, ეს მოვლენა მაინც არსებობს.

კახა ბენდუქიძე
სამთავრობო გუნდში
აღარ მუშაობს

საქართველოს მთავრობის აპარატის ყოფილი ხელმძღვანელი კახა ბენდუქიძე სამთავრობო გუნდში მოღვაწეობის გარეკლეუბაზე უარს აცხადებს.
მისივე ინფორმაციით ბენდუქიძემ პრემიერ-მინისტრის მრჩეველის შეთავაზებულ თანამდებობაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ არ აპირებს, პრემიერის მრჩეველი იყოს, რადგან სხვა გეგმები აქვს.
რაც შეეხება ბიზნესში დაბრუნების შესაძლებლობას, როგორც ყოფილი მაღალჩინოსანი აცხადებს, ის დიდი ხანია წავიდა ბიზნესიდან, რომელიც რუსეთში ჰქონდა და ახლა აპირებს დასახლდეს თბილისში.
ამასთან ბენდუქიძე ოპოზიციონარულ გარემოშიც მუშაობს. როგორც ცნობილია, რამდენიმე ხნის წინ ბენდუქიძემ "ერემია ნოვისტისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შეიძლება საქართველოს მთავრობას კონსულტაციები გაუწიოს და ამ მიზნით იგეგმებოდა პოლიტიკური ცენტრის შექმნა. "არ ვფიქრობ, რომ აუცილებელია მისი ფორმალუზება", – განაცხადა კახა ბენდუქიძემ და დახძინა, რომ "შხად არის რჩევები გასცეს".
ცნობისათვის, კახა ბენდუქიძე 90-იან წლებში რუსეთში ბიზნესით იყო დაკავებული. იგი ხელმძღვანელობდა გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნების დირექტორთა საბჭოს, სადაც აქციითა 25,93 პროცენტი ეკუთვნოდა. 2004 წელს მან თავისი წილი გაყიდა და საქართველოში გამოემგზავრა. კახა ბენდუქიძეს საქართველოს ეკონომიკური რეფორმების მინისტრის თანამდებობა ეკავა. ამ პოსტიდან ის მოგვიანებით მთავრობის კანცელარიის უფროსად გადაიყვანეს. რამდენიმე დღის წინ კი მან ეს პოსტიც დატოვა.
ბოლო წლებში სწორედ ბენდუქიძე მოიაზრებოდა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად განმსაზღვრელად, რის გამოც ოპოზიცია ხელისუფლებიდან მის წასვლას დიდი ხნის განმავლობაში უშედეგოდ მოითხოვდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკური განვითარების მოქმედი მინისტრი ლაშა ჟვანია ბენდუქიძის მთავრობის კანცელარიის უფროსის პოსტიდან განთავსდა.

საბავი

მალე გამოჯანმრთელდებოდა და მიღება შემდეგი კვირისათვის დაიწყო.
მშობლების განმეორებით სატელეფონო ზარების პასუხად იგი კვლავაც მათ დამშვიდებებს ცდილობდა და მოგვიანებით სტუმრობას პირდებოდა.
ამასობაში გოგონამ წონაში კლება დაიწყო, სიარული შეწყვიტა, თმის ცვენა დაიწყო. გამოძიების თანახმად მან 11 კილოგრამი, წონის შესამედ დაიკო. 2005 წლის 2 დეკემბერს იგი საკუთარ საწოლში გვედარი ნახეს.
ბავშვის მამის თქმით, ექიმებისათვის ყური რომ არ ეგდო და შვილი საავადმყოფოში მიეყვანა, მის გადარჩენას ალბათ შესძლებდა.

ავსტრალიელები
დაკარგულებსა
და ცეცხლის
წამკიდებლებს ეძებენ
ავსტრალიის ხელისუფლები ტყის ხანძრების დროს უზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანებს, გარდა ამისა, ტყისთვის ცეცხლის განზრახ წაიკვებოდა ეჭვიმტანილებსაც ეძებენ. ოფიციალური მონაცემებით, დაღუპულთა რიცხვმა 180-ს მიაღწია, თუმცა, ათობით ადამიანი კვლავინდებურად უზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.
ხანძრის მიზეზების გამოძიებაში 100-მდე პოლიციელი ჩაერთო, რომლებიც ჯგუფ "ფენიქსი" შემადგენლობაში არიან გაერთიანებული.
ავსტრალიის კანონების თანახმად, ცეცხლის გაჩენა, რასაც ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა, 25-წლიანი პატიმრობით ისჯება. ტყისათვის ცეცხლის განზრახ ან დაუდევრობით გაჩენას 15 წლით პატიმრობა შეიძლება მოჰყვეს.
პოლიციის მონაცემებით, მრავალი ხანძარი განზრახ ცეცხლის წაქიდებით დაიწყო.
დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარე ავსტრალიაში, სადაც აქამდე ცხელი ზაფხულია, პაერის ტემპერატურამ რამდენადმე დაიკლო. ამასთან, ვიქტორიის შტატში, ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კვლავინდებურად ცეცხლის 10 კერა სრულიად გაუკონტროლებელი რჩება. მათგან, ხანძარი რამდენიმე ქალაქსაც ემუქრება.

სარედაქციო კოლექცია
რედაქციის მისამართია: თბილისი, მესამე ნაღიკარის 11
გახეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე
რედაქციამ შესაძლოა გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებს
სახალხო მოძრაობა "სამეგრელო"